ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1930 წლის მარტის 16.	№ 5 ვანყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 51. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კვემდებარე სახელმწიფო ორგანიზაციებისა და მისი ადგილობრივი ორგანიებისა და აგრეთვე შერეული სავაჭრო სააქციო საზოგადოებების მიერ განსახორციელებელი კაპიტალური მშენებლობის მოსაწესრიგებლად საჭირო დროებითი ღონისძიებების შესახებ.

„ 52. სამომხმარებლო, სასოფლო-სამეურნეო და სარეწაო კოოპერაციაში 1929-30 წელს კაპიტალური მშენებლობის მოწესრიგებისათვის საჭირო დროებითი ღონისძიებების შესახებ.

„ 53. ა/კსფსრ ტერიტორიაზე გზატეცილების და ყამირგზების კვლევისა და პროექტირების წესის შესახებ.

„ 54. დებულება სასოფლო საბჭოებთან მყოფი სტატრწმუნებულებისა და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული საექსპერტო კომისიების შესახებ.

„ 55. დადგენილება ა/კსფსრ შრომის სახ. კომისარიატის მოხსენების გამო—საბინაო მეურნეობის დარგში საჭირო ღონისძიებათა დებულების დამტკიცების თაობაზე გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების აღსრულების შესახებ.

„ 56. ამიერკავკასიის სავეტერინარო ინსტიტუტის ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

„ 57. „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობისათვის ტეხნიკური კადრების მომზადების თაობაზე“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების განხორციელების წესის შესახებ.

„ 58. მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში კონფისკეტული შენობების გამოყენების წესის შესახებ.

„ 59. სასოფლო საბჭოებისა და სარაიონო აღმასრ. კომიტეტების ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის სასტატისტიკო ცნობების შეკრეფის შესახებ.

„ 60. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში საკითხების განსახილველად შეტანის წესის შესახებ.

„ 61. დებულება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის შესახებ.

„ 62. ა/კსფსრ-ში რამის კულტურის განსავითარებლად საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

„ 63. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის მომზადების გასაძლიერებლად საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

„ 64. ხელისუფლების ქვედა ორგანოების ამოცანების შესახებ კოლექტივიზაციის საქმეში.

„ 65. დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი მეცხოველეობის პროდუქტებისა, ცხოველეული ნედლეულობისა და ბრინჯის კონტრაქტაციის საკითხების შესახებ.

„ 66. ა/კსფსრ-ის სახალხო მეურნეობის 1930-31 წლის საკონტროლო ციფრების შედგენისა და განხილვის წესის შესახებ.

„ 67. „კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებში შესატანი სპპაინ გადასახადის რაოდენობისა და 1929-30 წლის საკრედიტო გეგმის აღსრულებისათვის სახსართა მობილიზაციის თაობაზე“ გამოცემული ამერკავკასიის ცენტრ. აღმსრ. კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის თებერვლის 5-ის დადგენილების ზოგიერთი ნაწილის მოქმედების შეჩერების შესახებ.

„ 68. კოლექტიურ მეურნეობებში შესვლის დროს სესხით დავალიანების დაფარვის პირობებისა და შეღავათების შესახებ.

დადგენილება № 210 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

51. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ქვემდებარე სახელმწიფო ორგანიზაციებისა და მისი ადგილობრივი ორგანოებისა და აგრეთვე შერეული სავაჭრო სააქციო საზოგადოებების მიერ განსახორციელებელი კაპიტალური მშენებლობის მოსაწესრიგებლად საჭირო დროებითი ღონისძიებების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამყარებულ იქნეს 1929-30 წლისათვის შემდეგი წესი იმ კაპიტალური მშენებლობის საესკიზო და საბოლოო პროექტების დამტკიცებისა, რასაც, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის ივნისის 3-ის დადგენილების (სსრ კავშირის კან. კრ. 1929 წ. 36 №-ი, მუხ. 319) თანახმად, ანხორციელებენ ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების ქვემდებარე სახელმწიფო ორგანიზაციები:

1. ღირებულების დროებითი ლიმიტებით, რასაც სპეციალურად დაადგენს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭო, მთლად ზემოაღნიშნული მშენებლობა განიყოფება ოთხ ჯგუფად.

2. პირველი ჯგუფის მშენებლობის საესკიზო და საბოლოო პროექტები გაეგზავნება დასამტკიცებლად სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს ამ პროექტების რესპუბლიკანურ სამშენებლო კომიტეტებთან წინასწარ შეთანხმების შემდეგ.

3. მეორე ჯგუფის მშენებლობის საესკიზო და საბოლოო პროექტები გაიგზავნება საექსპერტიზოდ სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატში, რის შემდეგაც საესკიზო პროექტები წარედგინება დასამტკიცებლად ამერკავკასიის სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს; ხოლო საბოლოო პროექტებს დამტკიცებს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს უფლება აქვს გაგზავნოს ამიერკავკასიის სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტში დასამტკიცებლად საბოლოო პროექტებიც.

4. მესამე ჯგუფის მშენებლობის საესკიზო პროექტები საექსპერტიზოდ და დასამტკიცებლად გაიგზავნება ამიერკავკასიის სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტში. ხოლო საბოლოო პროექტები იმავე მიზნით—ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატში.

შენიშვნა 1. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს უფლება აქვს გაგზავნოს ამიერკავკასიის სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტში დასამტკიცებლად საბოლოო პროექტებიც.

შენიშვნა 2. უკეთუ საჭირო იქნება, პროექტები შეიძლება გაიგზავნოს სსრ კავშირის სახალხო კომისარიატში პროექტის სატეხნოლოგიო ნაწილის ექსპერტიზისათვის.

5. მეოთხე ჯგუფის მშენებლობის საესკიზო პროექტები გაეგზავნება საექსპერტიზოდ და დასამტკიცებლად რესპუბლიკანურ სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს; საბოლოო პროექტებს დაამტკიცებს ადგილობრივი ორგანო ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა ამ უკანასკნელის მინდობილობით.

შენიშვნა 1. ცალკეულ შემთხვევაში საბოლოო პროექტებიც შეიძლება გაიგზავნოს დასამტკიცებლად რესპუბლიკანურ სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტში.

შენიშვნა 2. უკეთუ საჭიროება მოითხოვს, რესპუბლიკანურ სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს უფლება აქვს გაგზავნოს ამიერკავკასიის სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტში დასამტკიცებლად როგორც საესკიზო, ისე საბოლოო პროექტი.

6. პროექტების შეთანხმება შრომის სახალხო კომისარიატისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ორგანოებთან სწარმოებს: მე-2 მუხლში აღნიშნული პროექტებისა—მათი განხილვის დროს რესპუბლიკანურ სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტში, ხოლო მე-3, 4 და 5 მუხლებში აღნიშნული პროექტებისა—მათი დამტკიცებელი ინსტანციების მიერ განხილვის დროს.

7. პასუხისმგებლობა პროექტების მიზანშეწონილობისათვის ეკონომიური, ტეხნოლოგიური და სამშენებლო მხრით დაეკისრება იმ ორგანოებს, რომელნიც აღნიშნულ პროექტებს დამტკიცებენ.

8. უფლება მიეცეს ამიერკავკასიის სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს გამოსცეს წესები, სადაც გათვალისწინებული იქნება ზემოაღნიშნული მშენებლობის როგორც საესკიზო, ისე საბოლოო პროექტების შედგენილობა, და აგრეთვე ინსტრუქციები და ცალკეული განმარტებანი ამა დადგენილების შეფარდების წესის შესახებ.

9. ამა დადგენილებაში აღნიშნულ მშენებლობაზე არ გავრცელდება მოქმედება სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს არაქვემდებარე ორგანოთა მიერ ა/კსფსრ-ში განსახორციელებელი სამრეწველო მშენებლობის პროექტების განხილვის დროებითი წესებისა (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-9 №-ი, მუხ. 84).

10. რადგანაც საჭიროა გადასინჯულ იქნეს „დროებითი წესები მშენებლობის მომწესრიგებელ ორგანოთა მიერ ა/კსფსრ-ში წარმოებული მშენებლობის პროექტებისა და ხარჯვთაღრიცხვების განხილვისათვის სასყიდლის გადახდევინების შესახებ“, რომელი წესებიც დამტკიცებულია ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს 1930 წ. მარტის 30-ის დადგენილებით,—წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს ერთი კვირის ვადაზე წარმოუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს პროექტი ახალი წესებისა სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტებისათვის ამა დადგენილებაში აღნიშნული პროექტების დამტკიცებასთან დაკავშირებული მუშაობის სასყიდლის მიცემის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1930 წ. იანვრის 30.
ტფილისი-სასახლე.

დადგენილება № 209 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

52. სამომხმარებლო, სასოფლო-სამეურნეო და სარეწაო კოოპერაციაში 1929-30 წელს კაპიტალური მშენებლობის მოწესრიგებისათვის საჭირო დროებითი ღონისძიებების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამყარებულ იქნეს 1929-30 წლისათვის შემდეგი წესი კოოპერაციის კაპიტალური მშენებლობის მინიმალურ-ზღვიური და საბოლოო-ზღვიური საპერსპექტივო გეგმების გატარებისა და შეთანხმებისა და აგრეთვე ამ მშენებლობის საესკიზო და საბოლოო პროექტების დამტკიცებისა:

ა) სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ამიერკავკასიის ცენტრები და აგრეთვე ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, სარეწაო კოოპერაციის დარგში, წარუდგენენ თავიანთ გეგმებს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, ამ უკანასკნელის მიერ დადგენილ ვადაზე, მას შემდეგ, რაც აღნიშნული ცენტრები პროექტებს წინასწარ შეუთანხმებენ ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და—პროექტების იმ ნაწილს, რომელიც მრეწველობის ინტერესებს შეეხება,—ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს; ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო კი წრადგენს გეგმებს სარეწაო კოოპერაციისათვის მას შემდეგ, რაც ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეგმებს შეუთანხმებს ა/კსფარ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, ხოლო სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივნისის 3-ის დადგენილების (სსრ კავშირის კან. კრ. 1929 წ. 36 №-ი, მუხ. 320) 1-ლი მუხლის 1-ლ შენიშვნაში ჩამოთვლილი დარგებისათვის—ა/კსფარ ვაჭრობის სახალხო კომისარიატსაც. ა/კსფარ სახელმწიფო საგეგმო კომისია აღნიშნულ გეგმებს, მათი დამტკიცების შემდეგ, წარუდგენს ა/კსფარ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს და იმავე დროს—სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიას. ა/კსფარ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ გეგმებს ზემოხსენებული ამიერკავკასიის ცენტრები და ა/კსფარ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო წარუდგენენ სათანადო სრულიად საკავშირო კოოპერატიულ ცენტრებს;

ბ) რესპუბლიკანური კოოპერატიული ცენტრებისათვის დადგენილია ანალოგიური წესი სათანადო სახის კოოპერაციის კაპიტალური მშენებლობის გეგმების გატარებისა და შეთანხმებისა.

2. პროექტების დამტკიცების წესის მხრით მთლად აღნიშნული მშენებლობა განიყოფება ოთხ ჯგუფად ღირებულების იმ სპეციალური დროებითი ლიმიტებით, რასაც ცალკე დაადგენს ა/კსფარ უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

3. პირველი ჯგუფის მშენებლობის საესკიზო და საბოლოო პროექტებს ამიერკავკასიის კოოპერატიული ცენტრები და აგრეთვე აკსფარ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო—სარეწაო კოპერაციის დარგში—გაუგზავნიან საექსპერტიზოდ და დასამტკიცებლად სათანადო სრულიად საკავშირო კოოპერატიულ ცენტრებს, ამ პროექტების რესპუბლიკანურ სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტებთან წინასწარ შეთანხმების შემდეგ.

4. მეორე ჯგუფის მშენებლობის საესკიზო და საბოლოო პროექტები გაეგზავნება საექსპერტიზოდ სათანადო სრულიად საკავშირო კოოპერატიულ ცენტრებს, რის შემდეგაც საესკიზო პროექტებს დაამტკიცებს ამიერკავკასიის სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტი, საბოლოო პროექტებს—ამიერკავკასიის კოოპერატიული ცენტრები, ხოლო სარეწაო კოოპერაციის დარგში საესკიზო და საბოლოო პროექტებს ექსპერტიზას გაუკეთებს და დაამტკიცებს ა/კსფარ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო.

შენიშვნა 1. ამიერკავკასიის კოპერატიულ ცენტრებს უფლება აქვთ საბოლოო პროექტებიც გაგზავნონ დასამტკიცებლად ამიერკავკასიის სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტში.

შენიშვნა 2. ა/კსფარ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული პროექტები შეთანხმებულ უნდა იქნეს სამშენებლო კონტროლის იდგილობრივ ორგანოებთან.

5. მესამე ჯგუფის მშენებლობის საესკიზო პროექტები სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დარგში საექსპერტიზოდ და დასამტკიცებწარედგინება ამიერკავკასიის სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს. საბოლოო პროექტებს ექსპერტიზას გაუკეთებენ და დაამტკიცებენ ამიერკავკასიის კოოპერატიული ცენტრები; ხოლო სარეწაო კოოპერაციის დარგში საესკიზო და საბოლო პროექტები საექსპერტიზოდ და დასამტკიცებლად გაეგზავნება ა/კსფარ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

შენიშვნა 1. სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ამიერკავკასიის ცენტრებს უფლება აქვთ საბოლოო პროექტებიც გაუგზავნონ დასამტკიცებლად ამიერკავკასიის სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს.

შენიშვნა 2. ცალკეულ შემთხვევაში იმ ორგანოს, რომელიც პროექტებს ამტკიცებს, უფლება ეძლევა გაუგზავნოს პროექტი სათანადო სრულიად საკავშირო კოოპერატიულ ცენტრს ტეხნოლოგიური ექსპერტიზისათვის.

შენიშვნა 3. ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული პროექტები შეთანხმებულ უნდა იქნეს სამშენებლო კონტროლის ადგილობრივ ორგანოებთან.

6. მეოთხე ჯგუფის მშენებლობის საესკიზო პროექტები საექსპერტიზოდ და დასამტკიცებლად წარედგინება რესპუბლიკანურ სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს. საბოლოო პროექტებს დამტკიცებს რესპუბლიკანური კოოპერატიული ცენტრი.

სარეწაო კოოპერაციის დარგში საესკიზო პროექტები საექსპერტიზოდ და დასამტკიცებლად წარედგინება რესპუბლიკანურ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, სამშენებლო კონტროლის სათანადო ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმების შემდეგ, ხოლო საბოლოო პროექტები—რესპუბლიკანურ კოოპერატიულ ცენტრს.

შენიშვნა 1. რესპუბლიკანურ კოოპერატიულ ცენტრებს უფლება აქვთ საბოლოო პროექტები დასამტკიცებლად წარუდგინონ რესპუბლიკანურ სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს, ხოლო სარეწაო კოოპერაციის დარგში—რესპუბლიკანურ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

შენიშვნა 2. ცალკეულ შემთხვევაში რესპუბლიკანურ სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს უფლება აქვს გაუგზავნოს პროექტი საექსპერტიზოდ და დასამტკიცებლად ამიერკავკასიის სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს, ხოლო პროექტები სარეწაო კოოპერაციის დარგში—რესპუბლიკანურ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

შენიშვნა 3. მეოთხე ჯგუფის მშენებლობას, რასაც ამიერკავკასიის პირველი საფეხურის კოოპერატიული ორგანიზაციები ანხორციელებენ, შეეფარდება ამა დადგენილების მე-5 მუხლი.

7. პასუხისმგებლობა პროექტების მიზანწეწონილობისათვის ეკონომური, ტეხნოლოგიური და სამშენებლო მხრით დაეკისრება იმ ორგანოებს, რომელთაც ეს პროექტები დაამტკიცეს.

8. პროექტების შეთანხმება შრომის სახალხო კომისარიატისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ორგანოებთან სწარმოებს შემდეგნაირად:

ა) მე-3 მუხლში აღნიშნული პროექტებისა—რესპუბლიკანურ სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტში განხილვის დროს;

ბ) მე-4, 5 და 6 მუხლებში აღნიშნული პროექტებისა—დამტკიცებელი ინსტანციის მიერ განხილვის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. უფლება მიეცეს ამიერკავკასიის სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს და ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—სარეწაო კოოპერაციის დარგში—გამოსცენ წესები, სადაც გათვალისწინებული იქნება ზემოაღნიშნული მშენებლობის როგორც საესკიზო, ისე საბოლოო პროექტების შედგენილობა, და აგრეთვე გამოსცენ ინსტრუქციები და ცალკეული განმარტებანი ამა დადგენილების შეფარდების წესის შესახებ.

10. ამა დადგენილებაში აღნიშნულ მშენებლობაზე არ გავრცელდება მოქმედება სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს არაქვემდებარე ორგანოთა და დაწესებულებათა მიერ ა/კსფსრ-ში განსახორციელებელი სამრეწველო მშენებლობის პროექტების განხილვის დროებითი წესებისა (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-9 №-ი, მუხ. 84).

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ზ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა
მმართველის თანამდებ. დრ. აღმასრულებელი **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. მარტის 3.
ტფილის-სასახლე.

დადგენილება № 220 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

53. ა/კსფსრ ტერიტორიაზე გზატკეცილების და ყამირგზების კვლევისა და პროექტირების წესის შესახებ.

რათა რაციონალურად იქნეს დაყენებული გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და ხელოვნური ნაგებობების კვლევისა და პროექტირების საქმე და რათა შემცირებულ იქნეს საპროექტო და საკვლევ მუშაობის ხარჯები—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. თავმოყრილ იქნეს ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოში გეგმიანი დამუშავება ყველა საკითხებისა ახალი გზატკეცილების და ყამირგზების კვლევის შესახებ და აგრეთვე ახალი ურელსო გზების და მათზე ხელოვნური ნაგებობების საკვლევო მუშაობის წარმოებისა და პროექტების შედგენის საქმე.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული საკვლევო მუშაობას და პროექტების შედგენას აწარმოებს ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველო ყველა კატეგორიის გზებისათვის (საერთო-საკავშირო, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის), გარდა იმ საკვლევო მუშაობისა, რაც თავისი მოცულობით და ხასიათით შეიძლება შესრულებულ იქნეს რესპუბლიკანური და ადგილობრივი საგზაო ორგანოების ძალებით.

3. ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველო ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ მუშაობას აწარმოებს საკვლევო მუშაობისა და პროექტების შედგენისათვის საერთო-საკავშირო, რესპუბლიკანური და ადგილობრივი ბიუჯეტით გადადებული კრედიტების ხარჯით; ამასთანავე, სახსარი ამ მუშაობისათვის რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისა და ხელოვნური ნაგებობების საკვლევად და გეგმების შესადგენად—გაიცემა სათანადო რესპუბლიკანური და ადგილობრივი საგზაო ორგანოების მიერ.

4. საპროექტო-საკვლევო მუშაობისათვის საჭირო საწარმოო შტატი განისაზღვრება სათანადო სამუშაოთა პროგრამით და ინახება საპროექტო-საკვლევო მუშაობისათვის გადადებული სახსრით.

5. ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს შედგენილობაში ამა დადგენილებით გათვალისწინებული ფუნქციების განსახორციელებლად მოეწყობა სპეციალური ორგანო, რომელიც იმოქმედებს ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს დებულების (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-8 №-ი, მუხ. 70) მე-3 მუხლის წესისამებრ გამოცემული დებულების საფუძველზე.

აღნიშნული ორგანოს მუდმივ შტატსა და სტრუქტურას განსაზღვრავს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი არსებული წესისამებრ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოად. **ა. ბომბინი.**

1930 წ. თებერვლის 27.
ტფილისი-სასახლე.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

54. სასოფლო საბჭოებთან მყოფი სტატრწმუნებულებისა და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული საექსპერტო კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ.

სოფლის მეურნეობის ფართოდ გაშლილი სოციალისტური რეკონსტრუქცია და თანდათან გაძლიერებული საბიუროები მისი წარმოებითი დაგეგმვისა და განსაზოგადოების პროცესებისათვის უფრო ფართო ხელმძღვანელობის გაწევისა—აუცილებლად ჰხდის სტატისტიკური აღნუსხვის არსებული მეთოდების რადიკალურად გარდაქმნას.

ამიტომ სოციალისტური აღნუსხვის ორგანიზაცია სოციალისტური სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომლის განხორციელებაც ეკისრება სახელმწიფო სასტატისტიკო ორგანოებს, ხოლო სოფლად—სასოფლო საბჭოებს.

ამისდამიხედვით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება სასოფლო საბჭოებთან მყოფი სტატრწმუნებულებისა და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული საექსპერტო კომისიების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. თებერვლის 28.
ტფილისი—სასახლე.

დებულება სასოფლო საბჭოებთან მყოფი სტატრწმუნებულებისა და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული საექსპერტო კომისიების შესახებ.

1. სოფლის მეურნეობის სტატისტიკური აღნუსხვის დარგში საჭირო მუშაობის უშუალოდ წარმოებისათვის, სოფლის მეურნეობის საერთო და სასაქონლო პროდუქციის რაოდენობის განსაზღვრისათვის და სხვ.—სასოფლო საბჭოებთან განწესებულ იქნენ მუდმივად მომქმედი სტატრწმუნებულნი, ხოლო სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან მოეწყოს საექსპერტო კომისიები.

2. სტატრწმუნებულად და საექსპერტო კომისიის წევრად შეიძლება იყოს მხოლოდ საბჭოთა საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქე.

3. სტატრწმუნებულებისა და საექსპერტო კომისიებისათვის ხელმძღვანელობისა და ინსტრუქტირების გაწევა დაეკისრება ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებს—სათანადო ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით.

სტატრწმუნებულთა არჩევა.

4. სტატრწმუნებულს აირჩევს სასოფლო საბჭო იმ კანდიდატთაგან, რომელთაც დასასახელებს ღარიბთა ჯგუფი ან კრება და სოფლის პროფესიონალური და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

5. თვითეული სასოფლო საბჭო აირჩევს ერთ სტატრწმუნებულს და მის კანდიდატებს იმისდამიხედვით, თუ რაოდენია და რა მოცულობისაა სასოფლო საბჭოს სამუშაო.

6. სტატრწმუნებული აირჩევა სასოფლო საბჭოს რწმუნებამოსილობის ვადით. თავისი მუშაობისათვის სტატრწმუნებული პასუხს აგებს სასოფლო საბჭოს წინაშე და წარუდგენს მას ანგარიშს თავისი მუშაობის შესახებ; სტატრწმუნებულს, რაკი იგი სტატისტიკის წარმოებაზე თანხმობას განაცხადებს, არ შეუძლიან მუშაობაზე უარი სთქვას, ვიდრე იგი შეცვლილ არ იქნება სხვა კანდიდატით.

სტატრწმუნებულის მოქმედება გამოკვლეულ უნდა იქნეს სასოფლო საბჭოს სარევიზიო კომისიის მიერ.

7. არადამაკმაყოფილებლად მომუშავე სტატრწმუნებული გადაყენებულ უნდა იქნეს სასოფლო საბჭოს მიერ როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე სარაიონო თუ საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის წინადადებით.

8. სტატრწმუნებული შედის წევრად სასოფლო-სამეურნეო სექციაში და აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება მის სხდომებში.

სტატრწმუნებულის უფლება-მოვალეობანი.

9. სტატრწმუნებული განახორციელებს თავის ამოცანას სოფლის მეურნეობის მდგომარეობის აღნუსხვის საქმეში და უფლება აქვს მოსთხოვოს სტატისტიკური ცნობები როგორც კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებს, ისე ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობებს.

10. სტატრწმუნებულის ძირითად მოვალეობას შეადგენს:

ა) შეკრიფოს სხვადასხვა ცნობები, სახელმწიფო სტატისტიკის პროგრამის მიხედვით, სოფლის მეურნეობის დარგში, როგორც წარმოებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების შესახებ, ისე სოფლის მეურნეობაში გამოყენებული საწარმო იარაღებისა და საშუალებების შესახებ;

ბ) შეკრიფოს ცნობები ნათესების რაოდენობისა და მდგომარეობისა და საქონლის ჯოგის რაოდენობისა და მდგომარეობის შესახებ.

ამის გარდა, სტატრწმუნებულს დაეკისრება სტატისტიკური მასალის მომზადება სასოფლო-სამეურნეო სექციისა და საწარმოო თათბირისათვის.

11. დაკისრებული მოვალეობის აღსრულების საქმეში სტატრწმუნებულს ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოუჩინონ კოლექტიურმა და საბჭოთა მეურნეობებმა, აგრორწმუნებულებმა და ზოორწმუნებულებმა, საზოგადო მწყემსებმა და ცალკეულმა გლეხებმა.

12. თავისი მუშაობისათვის სტატრწმუნებული გამოიყენებს სასოფლო საბჭოს ტეხნიკურ აპარატს და საკანცელარიო საგნებს; ამასთანავე, სტატრწმუნებულის ყოველგვარი ურთიერთი მიმართვა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან, საოლქო სტატისტიკურ განყოფილებასთან ან მის თანაბარ ორგანოსთან და სხვა ორგანიზაციებთან სწარმოებს სასოფლო საბჭოს მეშვეობით.

13. სტატრწმუნებულს აქვს შემდეგი შეღავათები და უპირატესობანი:

ა) იგი განთავისუფლდება საზოგადოებრივი შრომითი და ჯანმზიდვის ბეგარისაგან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) აქვს უპირატესი უფლება მივლინებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო კურსებსა, მუშათა ფაკულტეტებსა და უმაღლეს სასწავლებელში და დახმარება აღმოეჩინება მის შვილებს სასწავლებელში შესვლისათვის;

გ) აღმოეჩინება საწარმოო დახმარება კოლექტიურ მეურნეობასა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში წევრად მიღების დროს.

ამის გარდა, სტატრწმუნებულს მიეცემა პრემია სპეციალური სახსარიდან, რაც გადადებული იქნება როგორც სახელწიფო საგვგმო კომისიის ხარჯთაღრიცხვით, ისე ადგილობრივი (სასოფლო, სარაიონო, საოლქო და მისი თანაბარი ერთეულის) ბიუჯეტით.

14. სტატრწმუნებულს კოლექტიური მეურნეობის წევრთაგან და საბჭოთა მეურნეობის მუშათაგან სტატისტიკური ცნობების შეკრეფისა და მოხსენებების შედგენისათვის დახარჯული დრო უნდა ჩაეთვალოს კოლექტიურ მეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მუშაობად—კუთვნილებისამებრ.

15. უკეთუ საჭიროა, რომ სტატრწმუნებული მივლინებულ იქნეს სასოფლო საბჭოს მიერ რაიონში, ოლქში და სხვ. სტატისტიკური აღნუსხვის საქმეების გამო, მას უნდა მიეცეს დღიური სარგო სათანადო ადგილისათვის დაწესებული შრომის სასყიდლის საშუალო განაკვეთის რაოდენობით და აგრეთვე უნდა აენაზღაუროს სამგზავრო ხარჯი ფაქტიური ღირებულების მიხედვით ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული საექსპერტო კომისიები.

16. რათა უფრო ზედმიწევნით იქნეს გამორკვეული სოფლის მეურნეობის საერთო და სასაქონლო პროდუქციის რაოდენობა როგორც ინდივიდუალურ მეურნეობებსა, ისე კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებში, და რათა მეთვალყურეობა გაეწიოს ნათესების მდგომარეობას და გამოირკვეს მოსავალის მაჩვენებლები, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან მოეწყობა მუდმივად მომქმედი საექსპერტო კომისიები.

17. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული საექსპერტო კომისიის შედგენილობაში შედიან: რაიონის სტატისტიკოსი და ადგილობრივი პროფესიონალური, პარტიული და კომკავშირის ორგანიზაციებისა, საბჭოთა მეურნეობებისა, კოლექტიური მეურნეობებისა და სხვა კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

საექსპერტო კომისიის თავმჯდომარედ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი დანიშნავს თავის ერთ-ერთ წევრს.

18. საექსპერტო კომისიის მიერ შედგენილ აქტს, მოხსენებას და დასკვნას დაამტკიცებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი და აქტი, მოხსენება და დასკვნა წარედგინება სათანადო საგვგმო-სასტატისტიკო ორგანოს.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 56 №-ში 1930 წ. მარტის 3-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 221 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

55. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის მოხსენების გამო „საბინაო მეურნეობის დარგში საჭირო ღონისძიებათა დებულების დამტკიცების თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის ნოემბრის 19-ის დადგენილების აღსრულების შესახებ.

აღნიშნავს რა, რომ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ არ არის აღსრულებული ის დავალებანი, რაც გათვალისწინებულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის ნოემბრის 19-ის დადგენილებაში „საბინაო მეურნეობის დარგში საჭირო ღონისძიებათა დებულების დამტკიცების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. 21 №-ი, მუხ. 252),— ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს:

ა) დაიჩქაროს საბინაო კოდექსის შემუშავება;

ბ) გააუქმოს „საბინაო ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული აზერბაიჯანის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. მაისის 21-ის დადგენილების მე-7 მუხლის „ა“ ლიტერას ის ნაწილი, რაც შეეხება სამუშე ბინათმშენებლობისათვის გადადებული საბანკო კრედიტებიდან ხუთმეტი ჰროცენტის გადარიცხვას კომუნალური კეთილმოწყობის სპეციალურ ფონდში, რადგანაც იგი ეწინააღმდეგება არსებულ კანონდებულებათ სამუშე ბინათმშენებლობის დაფინანსების სფეროში;

გ) გადასინჯოს აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. თებერვლის 13-ის დადგენილება „ადგილობრივი საბჭოების უშუალო ექსპლოატაციაში ქონებული და საბინაო-კოოპერატიულ ამხანაგობათა მიერ იჯარით აღებული სახლების მუშა-მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროების დაკმაყოფილების ღონისძიებათა შესახებ“ იმ მხრით, რომ მაქსიმალურად განხორციელდეს „საბინაო მეურნეობის დარგში საჭირო ღონისძიებათა დებულების დამტკიცების შესახებ“ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოცემულ დადგენილებაში (შესავალი ნაწილის მე-6 მუხლის „ე“ 3.) აღნიშნული ნორმები როგორც საიჯარო, ისე სამშენებლო კოოპერაციის დარგში;

დ) გადასინჯოს აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ივნისის 6-ის დადგენილება „ქალაქ-ადგილს საცხოვრებელი ფართობის დასახლების წესის თაობაზე გამოცემული აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის თებერვლის 22-ის დადგენილების 1-ლი მუხლის შეცვლის შესახებ“, რათა იგი შეესაბამებოდეს „საბინაო მეურნეობის დარგში საჭირო ღო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისძიებათა დებულების დამტკიცების შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების შესაბამისად ნაწილის მე-6 მუხლის „ა“ ლიტერს.

2. წინადადება მიეცეს სომხეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს:

ა) დააკისროს სათანადო ორგანოებს სპეციალური თვალყურის დევნება, რათა იმ ქალაქებისა და საქალაქო ტიპის დასახლებული ადგილების ბიუჯეტში, რომელნიც მწვავე საბინაო კრიზისს განიცდიან, გათვალისწინებულ იქნეს მაქსიმალური და წლითი-წლობით გაძლიერებული თანხები საბინაო მშენებლობისათვის;

ბ) დაიწესოს სპეციალური კაპიტალების შექმნა, რაც დანიშნული იქნება კომუნალური კეთილმოწყობის დაფინანსებისათვის ახლად მოწყობილ მუშებით დასახლებულ ადგილებში, და გათვალისწინოს ამ კაპიტალების შექმნის წყაროები;

გ) იხმაროს ღონისძიებანი საბინაო კოდექსის საჩქაროდ გამოცემისათვის;

დ) გადასინჯოს მე-2 მუხლი სომხეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის თებერვლის 2-ის დადგენილებისა „მუშათა სახლების მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დაკმაყოფილების ღონისძიებების შესახებ“, რათა დაწესებულ იქნეს ხუთპროცენტიანი ანარიცხი საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის არა საბინაო ქირიდან, არამედ საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა საერთო შემოსავლიდან; აგრეთვე გადასინჯოს აღნიშნული მუხლის ის ნაწილი, რაც შეეხება სამუშე ბინათმშენებლობის კოოპერატიულ ამხანაგობათა საეკსპლოატაციო ხარჯის ხუთპროცენტიანი ანარიცხის დაწესებას იმავე მიზნისათვის;

ე) დაიწესოს საბინაო-საიჯარო კოოპერატულ ამხანაგობათა მიერ კაპიტალური რემონტისათვის მიღებული სესხის პროცენტის რაოდენობა „საბინაო მეურნეობის დარგში საჭირო ღონისძიებათა დებულების“ მე-10 მუხლის შესაბამისად, რომელი დებულებაც დამტკიცებულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის ნოემბრის 19-ის დადგენილებით;

ვ) დაიჩქაროს სამანეკრო საბინაო ფონდის შექმნა და გამოსცეს სათანადო დადგენილება ამ ფონდის შექმნისა, მისი ექსპლოატაციისა და ჩასახლებისა და გამოსახლების წესის შესახებ, და აგრეთვე აღნიშნოს, თუ რომელ ქალაქებში უნდა შეიქმნას ეს ფონდი;

ზ) დაიჩქაროს ქალაქებში საშუამავლო საბინაო ბიუროების მოწყობა;

თ) განახორციელოს სახლთმფლობელათა საგასავლო ბიუჯეტის ნორმირება, რისთვისაც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა, დაინტერესებულ ორგანოებთან ერთად, უნდა გამოსცეს სათანადო ინსტრუქცია სახლთმფლობელობათა ნორმალიზებული საგასავლო ბიუჯეტის შესახებ, რაც საჭიროა სახლთმფლობელობათა რაციონალური გადიდრონებისათვის;

ი) გამოსცეს დადგენილება, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციები და აგრეთვე საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობანი ვალდებულ იქნებიან ახალი საბინაო მშენებლობისა და სარემონტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობის წარმოებისათვის იქონიონ მხოლოდ საწარმოო ხარჯთაღრიცხვა და უარი სთქვან სააღსრულებო ხარჯთაღრიცხვის შედგენაზე;

კ) დაჩქაროს ქალაქებსა და აგრეთვე მუშათა, საკურორტო და სააგარაკო დასახლებულ ადგილებში საბინაო ფონდის სპეციალური კაპიტალების შექმნა, რაც გათვალისწინებულია "საბინაო მეურნეობის დარგში საჭირო ღონისძიებათა დებულების დამტკიცების შესახებ" გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის ნოემბრის 19-ის დადგენილების შესავალი ნაწილის მე-7 მუხლით.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს:

ა) იხმაროს ღონისძიება საბინაო კოდექსის საჩქაროდ გამოცემისათვის;

ბ) გადასინჯოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის ოქტომბრის 29-ის დადგენილება იმ მხრივ, რომ მოხდეს მაქსიმალური რეალიზაცია საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა საერთო შემოსავლიდან კულტურულ-საყოფაცხოვრებო ფონდისათვის გადასადები ანარიცხის ნორმებისა (5%); აგრეთვე გადასინჯოს ამ დადგენილების ის ნაწილი, რაც შეეხება სამუშე ბინათმშენებლობის კოოპერატიულ ამხანაგობათა საექსპლოატაციო ხარჯის ხუთპროცენტიანი ანარიცხის დაწესებას;

გ) აღნიშნოს წყაროები კომუნალური კეთილმოწყობის დაფინანსებისათვის სპეციალური კაპიტალის შესაქმნელად, რაც გათვალისწინებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის ივლისის 11-ის დადგენილების მე-2 მუხლის „ბ" ლიტერაში, და მისცეს ადგილობრივ საბჭოებს კონკრეტული დირექტივები აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის;

დ) დაჩქაროს შემუშავება და ადგილობრივი ორგანოებისათვის სახელმძღვანელოდ მიწოდება ინსტრუქციისა სახლთმფლობელობათა ნორმალიზებული საგასავლო ბიუჯეტის შესახებ და იმ ნორმების შესახებ, რაც საჭიროა სახლთმფლობელობათა რაციონალური გადიდრონებისათვის;

ე) დაჩქაროს საქართველოს სსრ დიდ ქალაქებში ბინების გაცვლა-გამოცვლის საშუამავლო ბიუროების მოწყობა;

ვ) გამოსცეს დადგენილება საბინაო-კოოპერატიულ ამხანაგობათა მიერ კაპიტალური რემონტისათვის მიღებული სესხის პროცენტის რაოდენობის განსაზღვრის შესახებ—„საბინაო მეურნეობის დარგში საჭირო ღონისძიებათა დებულების" მე-10 მუხლის საფუძველზე;

ზ) დაჩქაროს ქალაქებსა და აგრეთვე მუშათა, საკურორტო და სააგარაკო დასახლებულ ადგილებში საბინაო ფონდის სპეციალური კაპიტალების შექმნა, რაც გათვალისწინებულია „საბინაო მეურნეობის დარგში საჭირო ღონისძიებათა დებულების დამტკიცების შესახებ" გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის ნოემბრის 19-ის დადგენილების შესავალი ნაწილის მე-7 მუხლით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) გამოსცეს დადგენილება, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციები და აგრეთვე საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობანი ვალდებულ იქნებიან ახალი საბინაო მშენებლობისა და სარემონტო მუშაობის წარმოებისათვის იქონიონ მხოლოდ საწარმოო ხარჯთაღრიცხვა და უარი სთქვან საღსრულებო ხარჯთაღრიცხვის შედგენაზე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ბომბინი.**

1930 წ. თებერვლის 27.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 219 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

56. ამიერკავკასიის სავეტერინარო ინსტიტუტის ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ამიერკავკასიის სავეტერინარო ინსტიტუტი, რომელიც დროებით სომხეთის სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში ითვლებოდა, 1930 წლის მარტის 1-დან მთელი ქონებით და კრედიტებით გადაიცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ბომბინი.**

1930 წ. თებერვლის 27.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 60 №-ში 1930 წ. მარტის 7-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

57. „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობისათვის ტენხნიკური კადრების მომზადების თაობაზე“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის ივნვრის 13-ის დადგენილების განხორციელების წესის შესახებ.

„სსრ კავშირის სახალხო მეურნეობისათვის ტეხნიკური კადრების მომზადების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის ივნვრის 13-ის დადგენილების საფუძველზე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი იმისათვის, რათა გაძლიერებულ და გაუმჯობესებულ იქნეს სამრეწველო და სასოფლო-სასამეურნეო საწარმოთა ორგანიული კავშირი სასწავლებლებთან და სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებთან ახალი სპეციალისტების მომზადების საქმეში და რათა სასწავლებლები უზრუნველყოფილ იქნენ ახალი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების მიხედვით შედგენილი სასწავლო წიგნებით;

ბ) ყოველგვარად გააძლიერონ უახლოესი წლების განმავლობაში წარმოების ხელმძღვანელთა კადრების შექმნა უფრო დაწინაურებულ მუშათა რიცხვიდან (განსაკუთრებით იმათგან, რომელთაც გამოიჩინეს თავი საწარმოო თათბირების მუშაობის პროცესში და პროფესიონალურ კავშირთა მუშაობაში), რისთვისაც უნდა განხორციელდეს გეგმიანი დაწინაურება უმდაბლეს თანამდებობიდან საშუალო და უმაღლეს სახელმძღვანელო თანამდებობაზე და, ამასთან ერთად, მათ უნდა მიეცეს ფართო შესაძლებლობა, რათა სისტემატიურად გაალრმაონ თავიანთი პრაქტიკული ცოდნა და შეიძინონ საჭირო თეორეტიული განათლება;

გ) თვალსაჩინოდ გაუმჯობესონ მუშაობა არსებული კადრების შერჩევისა და განაწილებისა, ახალი კადრების დაწინაურებისა და უმაღლესი ინდუსტრიალური, ტეხნიკური და სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების კურსდამთავრებულთა გამოყენებისათვის, და აგრეთვე მეტი გეგმიანობა შეიტანონ არსებული საუწყებო ორგანოების სააღნუსხვო-საგანმანაწილებლო მუშაობაში.

2. დაიევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და მიენდოს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს წინადადება მისცენ აღნიშნული რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატებს—გაატარონ სისტემატიური გარდამზადება პრაქტიკოსებისა იმ გლეხთა და მუშათაგან, რომელთაც საბჭოთა მეურნეობებსა და საადგილმამულო

ორგანოებში უკიროვად აგრონომიული, ტეხნიკური და ადმინისტრატიული თანამდებობა, და აგრეთვე, არა უგვიანეს 1930 წლის მარტის 15-სა, მოაწყონ არსებულ სასოფლო-სამეურნეო სასწავლო რაიონებთან სასწრაფო კურსების ქსელი აგრანომიის მცოდნე მომუშაეთა მოსამზადებლად, პირველ რიგში კოლექტიურ მეურნეობათათვის.

3. მიენდოს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს შეიმუშაონ და განახორციელონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა. იმ სასწავლებლების მუშაობის გარდაქმნის სფეროში, რომელნიც ამზადებენ საშუალო და უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებს:

ა) გადასინჯონ უმაღლესი ინდუსტრიალურ-ტეხნიკური და სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების არსებული ქსელი, მისცენ ამ სასწავლებლებს მიზნობრივი დანიშნულება სახალხო მეურნეობის სათანადო დარგების კონკრეტულ მოთხოვნილებათა შესაბამისად და მოსპონ პარალელიზმი მათ მუშაობაში;

ბ) გაფართოონ უმაღლეს სასწავლებელთა ქსელი მტკიცე სპეციალიზაციის განხორციელებით განსაზღვრულ დარგებში, შეამცირონ სწავლების ვადა და ასეთ ვადად დაიწესონ სამი წელიწადი; სწავლების ზღვრულ ვადად ყველა დანარჩენი უმაღლესი ინდუსტრიალურ-ტეხნიკური და სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელისათვის დაიწესონ ოთხი წელიწადი;

გ) იხმარონ გადამწყვეტი ღონისძიება, რათა უმაღლესი და საშუალო ინდუსტრიალურ-ტეხნიკური, სასოფლო-სამეურნეო და ეკონომიური სასწავლებლებიდან მოსწავლენი გამოშვებულ იქნენ სწორედ იმ ვადაზე, რაც დადგენილია კურსის გასავლელად, და აღკვეთონ ამ სასწავლებლებში მეორწლიანობა.

აღნიშნული სასწავლებლებიდან 1929-30 წელს გამოშვებული მოსწავლეების რიცხვმა უნდა მიაღწიოს მოსწავლეთა საერთო რიცხვის ოც პროცენტამდე იმ სასწავლებლებში, სადაც სწავლების ვადა ოთხი წელიწადია და ოცდახუთ პროცენტამდე იმ სასწავლებლებში, სადაც სწავლების ვადა სამი წელიწადია; ამასთანავე, 1929-30 სასწავლო წლისათვის ნებადართულ იქნეს მოსწავლეების გამოშვება, რომელთაც სასწავლო გეგმა შეასრულეს, სადიპლომო (საკვალიფიკაციო) შრომისა და პროექტების წარუდგენლადაც;

დ) „გ“ ლიტერში აღნიშნული სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების საგამოშვებო უნარის გასაძლიერებლად გადაყვანილ იქნეს ეს სასწავლებლები და ტეხნიკუმები 1929-30 წლის მეორე ნახევარწლის განმავლობაში განუწყვეტელ კვირაზე და არა უგვიანეს 1930-31 წლის დასაწყისისა — განუწყვეტელ სასწავლო წელიწადზე.

ბ. ინდუსტრიალურ-ტეხნიკური, სასოფლო-სამეურნეო და ეკონომიური სასწავლებლებისა და მათთვის ხელმძღვანელობის გაწევის ორგანიზაციის სფეროში:

ა) წინადადება მისცენ განათლების სახალხო კომისარიატებს—გაიუმჯობესონ მუშაობა როგორც უმაღლესი განათლების საერთო ხელმძღვანელობისა, ისე უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების პროგრამულ-მეთოდიური ხელმძღვანელობის დარგში, გაფართოონ სამეცნიერო-საკვლევო და საპედაგოგიო კადრების მომზადება ინდუსტრიალურ-ტეხნიკური, სასოფლო-სამეურნეო და ეკონომიური უმაღლესი სასწავლებლებისა და საშუალო სასწავლებლებისათვის, უზრუნველჰყონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთის ტეხნიკური და აგრონომიული ლიტერატურის სისტემატიური გამოწერა, უცხოეთისა და საბჭოთა სპეციალისტების ლექციების მოწყობა უცხოეთის გამოცდილების შესახებ და სტუდენტებისა და ახალგაზრდა სპეციალისტების მიერ უცხო ენების შესწავლა, და აგრეთვე გაამლიერონ უმაღლესი სასწავლებლების ლაბარატორიების სისტემატიური მომარაგება უცხოეთის სათანადო გაწყობილობით;

ბ) დაამუშაონ საკითხი მიმდინარე 1929-30 წელს მძიმე მრეწველობისათვის უფრო მნიშვნელოვანი ზოგიერთი ინდუსტრიალურ-ტეხნიკური სასწავლებელისა და ტეხნიკუმის სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გამგებლობაში და აგრეთვე რამდენიმე უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადაცემის შესახებ, თანაც შეადგინონ გადასაცემ სასწავლებელთა სია და დაადგინონ გადაცემის ვადა და წესი, რაც უნდა წარედგინოს განსახილველად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

გ. უმაღლესი ინდუსტრიალულ-ტეხნიკური და სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების მოსწავლეთა კომპლექტების სფეროში:

ა) გაადიდონ 1930-31 წლიდან დაწყებული უმაღლეს ინდუსტრიალურ-ტეხნიკურ სასწავლებლებში მიღებული მუშებისა და მუშათა შვილების რიცხვი—მიღებულთა საერთო რიცხვის სამოცდაათ პროცენტამდე მაინც, ხოლო უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებში მიღებული მუშებისა, მოჯამაგირეებისა, ღარიბი გლეხებისა, კოლექტიურ მეურნეობათა წევრებისა და ამ კატეგორიის პირთა შვილების რიცხვი—მიღებულთა საერთო რიცხვის სამოცდახუთმეტ პროცენტამდე მაინც;

ბ) გააფართოონ მუშათა ფაკულტეტებისა და იმ კურსების ქსელი, სადაც სწარმოებს მუშათა და მოჯამაგირეთა მომზადება უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად და აგრეთვე გაადიდონ მათში მოსწავლეთა საერთო რიცხვი უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადების ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად;

გ) იხმარონ ღონისძიება, რათა უმაღლესი ტეხნიკური, სასოფლო-სამეურნეო და ეკონომიური სასწავლებლები დაკომპლექტებულ იქნენ მეორე საფეხურის სკოლის კურსდამთავრებულთაგან უპირატესად მუშათა, მოჯამაგირეთა, ღარიბ გლეხთა და კოლექტიური მეურნეობების წევრთა შვილებით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. თებერვლის 28.
ტფილისი—სასახლე.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

58. მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში კონფისკებული შენობების გამოყენების წესის შესახებ.

სოფლის მეურნეობის მთლიან-კოლექტივიზაციაზე გადასვლა საბჭოთა ხელისუფლების ქვედა ორგანოების წინაშე აყენებს ახალ, უფრო გაძლიერებულ, მოთხოვნას კოლექტიურ მეურნეობებად გაერთიანებული მოსახლეობის კულტურულ-საყოფოცხოვრებო საჭიროებათა მომსახურეობის სფეროში. აღნიშნულ საჭიროებათა დაკმაყოფილების საქმეში ხშირად თვალსაჩინო დაბრკოლებას წარმოადგენს სოფლად მომსახურეობის გამწევ სათანადო დაწესებულებათა მოწყობისათვის გამოსადეგი სადგომების უქონლობა. კოლექტიურ მეურნეობათა განკარგულებაში გადაცემული საბინაო ფონდის რაციონალურად გამოყენებისა და კულტურულ-საყოფოცხოვრებო დაწესებულებათა სადგომებით უზრუნველყოფისათვის—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დაეკალოს სასოფლო საბჭოებს მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში კულაკებისათვის კონფისკაციის წესით ჩამორთმეული საცხოვრებელი სადგომების გამოყენების დროს მხედველობაში იქონიონ სათანადო სადგომებით უზრუნველყოფა იმ დაწესებულებებისა, რომელნიც მომსახურეობას უწევენ მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებას, როგორიც არის: ბავშვთა კერა, ბაგე, წითელი კუთხე, წერაკითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო დაწესებულებანი და სხვ. და აგრეთვე ფიზიკური კულტურის დაწესებულებანი.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს ორი კვირის ვადაზე გამოსცენ სათანადო დადგენილებანი ამა დადგენილების განსავითარებლად.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღისმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. თებერვლის 28.
ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

59. სასოფლო საბჭოებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის სტატისტიკური ცნობების შეკრეფის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობებს:

ა. დაავალონ სასოფლო საბჭოებს—არა უგვიანეს 1930 წლის მარტის 10-სა—აირჩიონ სოფლის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთაგან სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის რწმუნებულნი, რომელნიც სასოფლო საბჭოებთან იმყოფებიან, და დააკისრონ მათ სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის დარგის სტატისტიკური ცნობების შეკრეფა.

ბ. დაავალონ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—იმავე ვადაზე მოაწყონ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან საექსპერტო კომისიები და დაკისრონ მათ დასკვნის წარდგენა სოფლის მეურნეობის საერთო და სასაქონლო პროდუქციის რაოდენობის შესახებ რაიონისა და სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე ცალ-ცალკე.

II. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ტელეგრაფით.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. თებერვლის 27.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 54 №-ში 1930 წ. მარტის 1-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 229 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

60. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში საკითხების განსახილველად შეტანის წესის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში განსახილველად შეტანილი თვითეული საკითხის გამო წარდგენილ უნდა იქნეს დადგენილების პროექტი. პროექტი უნდა შეიცავდეს კონკრეტულ წინადადებებს ბუნდოვანი ფორმულების გარეშე, აუცილებლად შედგენილი უნდა იყოს მშრომელთა ფართო მასსებისათვის გასაგები, მარტივი და ნათელი ფორმით და არ უნდა იყოს დატვირთული საინსტრუქციო ხასიათის ზედმეტი დეტალებით.

პროექტი არ უნდა შეიცავდეს მომქმედ დადგენილებათა განმეორებას, თუნდაც სხვა სიტყვებით, და არ უნდა იყოს დატვირთული დავალებებით როგორც თვით ინიციატორისადმი, ისე სხვა ორგანოებისადმი, უკეთუ სათანადო ღონისძიებათა განხორციელება შესაძლებელია საუწყებო ან საუწყებათაშორისო წესით.

2. არსებულ დადგენილებათა განსავითარებლად, დასამატებლად, შესაცვლელად ან გასაუქმებლად წარდგენილ პროექტში სისწორით უნდა იქნეს დასახელებული ეს დადგენილებანი და აგრეთვე კანონთა კრებული—გამოქვეყნებული დადგენილებისათვის და ოქმის ნომერი—გამოუქვეყნებელი დადგენილებისათვის.

პროექტის შეთანხმება წინად გამოცემულ აქტებთან მოხდება წარდგენილი კანონის ტექსტში ან მის შესაფალ დადგენილებაში.

3. დადგენილების პროექტთან დართულ განმარტებითის წერილში ზედმიწევნით და კონკრეტულად უნდა იყოს აღნიშნული ამ დადგენილების განხორციელების წესი და ის ცვლილებანი, რასაც პროექტის განხორციელება გამოიწვევს სახალხო მეურნეობასა, ფინანსებსა ან სახელმწიფო აპარატში.

კერძოდ: ისეთი პროექტის წარდგენის დროს, რომლითაც იცვლება დამტკიცებული საწარმოო, საფინანსო და საკრედიტო გეგმა, გათვალისწინებულ ცვლილებათა აუცილებლობის მიზეზებთან ერთად, უნდა აღინიშნოს ისიც, თუ რამდენად შეესაბამება ეს ცვლილებანი სახალხო მეურნეობის იმავე დარგების ან მოსაზღვრე დარგების გეგმებს. ხოლო, უკეთუ განზრახული ღონისძიება აუცილებლად ჰხდის ახალი სახსარის გაცემას საბიუჯეტო ასიგნვის ან საბანკო კრედიტის სახით, საჭიროა კონკრეტულად აღინიშნოს, თუ რა წყაროების ხარჯით,—სამეურნეო და საფინანსო წონასწორობის დაურღვეველად,—უნდა განხორციელდეს ეს ღონისძიება და რა ცვლილება უნდა იქნეს შეტანილი წინად დამტკიცებულ გეგმებში პროექტთან დაკავშირებით.

4. საკითხის ინიციატორს მხედველობაში უნდა ჰქონდეს ის გარემოება, რომ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ყურადღება საჭიროა მიეპყრას ისეთ საკითხებს, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს, და ამ მიზნით ზედმიწევნით უნდა შეარჩიოს საკანონმდებლო ორგანოებში განსახილველად წარსადგენი საქმეები; კერძოდ, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში განსახილველად შეტანილ არ უნდა იქნეს:

ა) ისეთი საკითხი, რაც შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობებისა ან ა/კსფსრ-ის უწყებების მიერ დამოუკიდებლად ან შეთანხმების გზით;

ბ) ისეთი საკითხი, რასაც არსებითი მნიშვნელობა არა აქვს (წარდგენილება მცირე საზეხარჯთაღრიცხვო ასიგნვათა შესახებ, პროტესტი წმინდა ფორმალური ხასიათისა, მცირე შეუთანხმებლობა, სარედაქციო ხასიათის შესწორება და სხვ.).

შენიშვნა. ისეთი საკითხები, რაც შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს სათანადო სამეურნეო გეგმების განხილვის დროს, რომელი გეგმებიც ჯერ კიდევ არ არის შეტანილი განსახილველად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში, ინიციატორის მიერ წარდგენილ უნდა იქნეს აღნიშნული გეგმების დამმზადებელ ორგანოებში.

5. ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოში და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში განსახილველად შეტანილი ყველა წინადადება წინასწარ შეთანხმებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ-ის უშუალოდ დაინტერესებულ უწყებებთან და ორგანიზაციებთან. წარსადგენი პროექტის შესახებ დასაბუთებული მოსაზრების მისაცემად დადგენილია:

ა) შვიდი დღის ვადა—ა/კსფსრ უწყებებისა და ორგანიზაციებისათვის, საკითხის ინიციატორისაგან პროექტის მიღების დღიდან;

ბ) ორი კვირის ვადა—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობებისათვის, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებით გაგზავნილი პროექტის მიღების დღიდან.

უკეთუ დასკვნა დადგენილ ვადაზე არ იქნა მიღებული, საკითხი შეიტანება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში სათანადო ცნობით იმის შესახებ, რომ დასკვნა ვადაზე მიღებულ არ იყო.

დასკვნის მიღებისას საკითხის ინიციატორი ვალდებულია განიხილოს იგი არსებითად და აღნიშნოს განმარტებითს წერილში ან ცალკე ცნობაში—რომელ შენიშვნას ეთანხმება იგი და რომელ შესწორებას უარჰვოფს და რატომ.

შენიშვნა. პროექტი მუდმივი კომისიის თუ კომიტეტის მიერ შეტანილი საკითხის გამო შეიძლება წარდგენილ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში იმ უწყებებისა და ორგანიზაციების დასკვნის გარეშეც, რომელთა წარმომადგენელნიც შედიან ამ კომისიაში თუ კომიტეტში, ხოლო ამასთანავე წარდგენილ უნდა იქნეს ცნობა არსებული შეუთანხმებლობის შესახებ.

6. წარდგენილება შეიტანება იმ პირის ხელმოწერით, ვისაც აქვს უფლება შეიტანოს საკითხი განსახილველად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში და უმაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეს ეკონომიურ საბჭოში ამ უკანასკნელთა შესახებ არსებული დებულების თანახმად.

7. დადგენილების პროექტი, რომელიც შეტანილ იქნება ამა დადგენილებაში გათვალისწინებული წესების დარღვევით, არ განიხილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ და ამ პროექტს დაუბრუნებს ინიციატორს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობა.

შენიშვნა. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობების მიერ შეტანილი პროექტები შეიძლება დაბრუნებულ იქნეს მხოლოდ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარის ან მისი მოადგილეების განკარგულებით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ბომბინი.**

1930 წ. თებერვლის 27.
ტფილისი-სასახლე.

დადგენილება № 222 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

61. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ბომბინი.**

1930 წ. მარტის 3.
ტფილისი-სასახლე.

დებულება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის შესახებ.

რათა ა/კსფსრ ტერიტორიაზე დამყარებულ იქნეს ერთიანი ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახური, რათა სახალხო მეურნეობის ყველა დარგებს უკეთესი მომსახურეობა გაეწიოს და სახელმწიფო დაცულ იქნეს მეტეოროლოგიისა (გეომაგნეტიზმი, აქტინომეტრია და ატმოსფერული ელექტრობა) და ჰიდროლოგიის მხრით —ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოეწყოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტი რვა პირის შედგენილობით: თავმჯდომარე, ორი მისი მოადგილე, ორი წევრი კომიტეტისა, რომელთაც დანიშნავს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო სსრ კავშირის ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის წარდგენით, და სამი წარმომადგენელი რესპუბლიკანური ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტებისა.

შენიშვნა 1. ა/კსფსრ გეოფიზიკური ინსტიტუტის დირექტორი შედის კომიტეტის შედგენილობაში თავისი თანამდებობისამებრ.

შენიშვნა 2. კომიტეტის ერთ-ერთი წევრი დაინიშნება სსრ კავშირის სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან) წარდგენით.

2. ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტი გააერთიანებს ა/კსფსრ ტერიტორიაზე არსებულ ყველა მეტეოროლოგიურ, ჰიდროლოგიურ და ჰიდრომეტეოროლოგიურ სამსახურს.

3. ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტს დაეკისრება:

1) განაგოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სსრ კავშირის ჰიდრომეტეროლოგიური კომიტეტის დირექტივების თანახმად:

ა) ა/კსფსრ ცენტრალური ჰიდრო-მეტეოროლოგიური დაწესებულებანი;

ბ) ყველა დაწესებულება და სამუშაო ჰიდროლოგიისა და ჰიდრომეტრიის, გეომაგნეტიზმისა, აქტინომეტრიისა და ატმოსფერული ელექტრობის დარგში;

გ) ხელმძღვანელობა ჰიდრო-მეტეოროლოგიური დაწესებულებებისა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში და აგრეთვე ამავე რესპუბლიკების დაწესებულებებისა და სამუშაოები გეომაგნეტიზმისა, აქტინომეტრიისა და ატმოსფერული ელექტრობის დარგში.

2) განახორციელოს მეტოდოლოგიური ხელმძღვანელობის გაწევა ყველა მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური დაწესებულებისათვის ა/კსფსრ-ში სსრ კავშირის ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის დირექტივების თანახმად.

4. ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტს უფლება ეძლევა:

ა) მისცეს ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურის ყველა დაწესებულებას ა/კსფსრ-ის ტერიტორიაზე, ჰიდრო-მეტეოროლოგიურ სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებს, სამმართველოებს, სადგურებსა და სადარაჯოებს,—სსრ კავშირის ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის დირექტივებისა, ინსტრუქციებისა და წინადადებების განსავითარებლად და მათ შესაბამისად,—საჭირო დირექტივები, ინსტრუქციები, და წინადადებები და აგრეთვე დააწესოს ა/კსფსრ ყველა მეტეო-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

როლოგიური და ჰიდროლოგიური დაწესებულებისათვის სავალდებულო მეთოდები მუშაობისა;

ბ) მიანდოს ფედერატიული მნიშვნელობის მქონე სამეცნიერო-საკვლევო და საოპერატივო ხასიათის დავალებათა შესრულება ა/კსფსრ ყველა მეტეოროლოგიურ და ჰიდროლოგიურ დაწესებულებას;

გ) შეამოწმოს ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედ ჰიდრო-მეტეოროლოგიური დაწესებულებებისა და აგრეთვე ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის უშუალო გამგებლობაში მყოფი დაწესებულებების მიერ როგორც ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის, ისე სსრ კავშირის ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის დირექტივებისა, დავალებებისა, ინსტრუქციებისა, წინადადებებისა და სხვ. აღსრულება;

დ) შეიტანოს განსახილველად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში მოხსენებანი, პროექტები და სახარჯთაღრიცხვო განწრახულებანი, რაც მიმართული იქნება ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურისა და გამოკვლევების სათანადოდ განვითარებისათვის, რათა ამით უფრო მეტი მომსახურეობა გაეწიოს ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგებსა და მისი თავდაცვის საქმეს;

ე) წარუდგინოს, საჭირო შემთხვევაში, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენება, რათა შეჩერებულ იქნეს,—სსრ კავშირის ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის დებულების (სსრ კავშირის კან. - კრ. 1929 წ. 56 №-ი, მუხ. 523) მე-5 მუხლის საფუძველზე,—განნორციელება სსრ კავშირის ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის იმ განკარგულებებისა, რაც მიეცა ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურის ორგანოებს ა/კსფსრ-ში;

ვ) მოითხოვოს განსახილველად და შესათანხმებლად ჰიდრო-მეტეოროლოგიური აპარატებისა და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებების მუშაობის გეგმები და პროგრამები და აგრეთვე გეგმები და პროგრამები იმ სადგურებისა და სადარაჯოების ქსელისა, რომელნიც მომსახურეობას უწევენ უწყებათა, დაწესებულებათა და საწარმოთა ვიწრო-სპეციალურ საჭიროებას და რომელნიც ამ უკანასკნელთა გამგებლობაში არიან; დაამტკიცოს ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის ქვემდებარე დაწესებულებებისა და ორგანიზაციების გეგმები და ანგარიშები;

ზ) წარუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სათანადო უწყებებსა და სამეურნეო ორგანოებს დასკვნა ამ უკანასკნელთა ვიწრო-სპეციალური ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური სამუშაოების გეგმებისა და პროგრამებისა და ამ სამუშაოების ხარჯთაღრიცხვების შესახებ;

თ) გამოაცხადოს კონკურსი, აირჩიოს და დამტკიცოს თანამდებობაზე ა/კსფსრ კომიტეტის ქვემდებარე დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სამეცნიერო და უმაღლესი ადმინისტრატიული პერსონალი, დაითხოვოს, მომქმედი კანონმდებლობის დაცვით, თანამდებობრივი დანაშაულისათვის და მისცეს პასუხის გებაში ა/კსფსრ კომიტეტის ქვემდებარე სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა ხელმძღვანელი პერსონალის პირნი და აგრეთვე აღძრას საკითხი, რათა იმავე დანაშაულისათვის დათხოვნილ და პასუხისგებაში მიცემულ იქნენ ა/კსფსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედგენილობაში შემავალი ამა თუ იმ რესპუბლიკის ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის ქვემდებარე ხელმძღვანელი პერსონალის პირნი;

ი) აწარმოოს რევიზია და ინსპექცია რესპუბლიკანური ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტებისა და ა/კსფარ კომიტეტის ქვემდებარე დაწესებულებებისა და აგრეთვე ინსპექტირება გაუწიოს იმ აპარატებსა და ჰიდრო-მეტეოროლოგიურ დაწესებულებებს, რომელნიც შედიან უწყებათა, დაწესებულებათა და საწარმოთა შედგენილობაში მათი ვიწრო-სპეციალური საჭიროების მომსახურეობისათვის, ა/კსფარ ტერიტორიაზე მომქმედ საერთო-საკავშირო მნიშვნელობის დაწესებულებათა გამოუნაკლისად, ხოლო უკანასკნელ შემთხვევაში ინსპექტირების გაწევა უნდა მოხდეს სსრ კავშირის ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტთან შეთანხმებით;

კ) წარუდგინოს განსახილველად სსრ კავშირის ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტს პროექტები და მოსსენებანი თავიანი კომპეტენციის საკითხების გამო, რაც მოითხოვს შეთანხმებას საერთო-საკავშირო მასშტაბით, და აგრეთვე იქონიოს ამ კომიტეტთან უშუალო ურთიერთი მიმართვა ყველა საკითხის შესახებ;

ლ) მოიწვიოს დადგენილი წესისამებრ ყრილობა, თათბირი, კონფერენცია და აგრეთვე მოაწყოს მუდმივი და დროებითი კომისიები ინ საკითხების გამო, რაც ა/კსფარ კომიტეტის მოქმედებას მიეკუთვნება;

მ) მოაწყოს სპეციალური ექსპედიციები ა/კსფარ ტერიტორიაზე.

5. ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის განკარგულებანი, რაც მიეცემა რესპუბლიკანურ ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტებსა და სხვა მეტეოროლოგიურ და ჰიდროლოგიურ დაწესებულებებს, შეიძლება შეჩერებულ იქნეს, ცალკეულ შემთხვევაში, სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, ხოლო ეს უნდა ეცნობოს ა/კსფარ სახალხო კომისართა საბჭოს.

6. ა/კსფარ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის უშუალო გამგებლობაშია ჰიდროლოგიისა და გეოფიზიკის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი, რომელიც სამუშაო აპარატია როგორც სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის სფეროში, ისე სახალხო მეურნეობისა და ქვეყნის თავდაცვის საქმისათვის ჰიდრო-მეტეოროლოგიის მხრით პრაქტიკული მომსახურეობის გაწევის სფეროში.

7. ა/კსფარ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის ორგანიზაციის გამო, მისი მოთხოვნით ცენტრალური და რესპუბლიკანური მეტეოროლოგიური, ჰიდრო-მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური ადმინისტრატიული ორგანოები, რომელნიც ცალკეულ უწყებათა, დაწესებულებათა და სახელმწიფო საწარმოთა გამგებლობაში იმყოფებიან, დაწლილ უნდა იქნენ, ხოლო მათი სადგურები და სადარაჯოები და აგრეთვე ა/კსფარ ტერიტორიაზე მომქმედი ყველა მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულება და სამსახური—მათ შედგენილობაში შემავალი და მათთან არსებული გეომაგნიტური დაწესებულებებით, მთელი გაწყობილობით, ქონებით და კრედიტით—გადაეცემა სათანადო ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტს.

შენიშვნა. გადაცემა საერთო-საკავშირო უწყებათა და სამეურნეო ორგანოთა დაწესებულებებისა, სადგურებისა და სადარაჯოებისა, რომელნიც ა/კსფარ ტერიტორიაზე მოქმედობენ, მოხდება სსრ კავშირის ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტთან შეთანხმებით.

8. აეკრძალოს ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ყველა ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებას მოაწყოს საერთო-მეტეოროლოგიური და საერთო-ჰიდროლოგიური სადგური, სადარაჯო და სხვ., რომელიც ზემოაღნიშნული კომიტეტის გამგებლობაში არ იქნება.

უკეთუ შეუძლებელია, რომ ამა თუ იმ დაწესებულებას ან უწყებას გაეწიოს მომსახურეობა ერთიანი ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურის აღსრულების წესით, სათანადო უწყებას, სახელმწიფო დაწესებულებას და საწარმოს შეიძლება მიეცეს უფლება იქონიოს:

ა) სპეციალური დანიშნულების სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულება და სადგური სათანადო უწყებისა, დაწესებულებისა და საწარმოს მოქმედების ობიექტებზე ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური ფაქტორების გავლენის შესასწავლად;

ბ) სადგური და სადარაჯო—უწყებისა დაწესებულებისა და საწარმოს ვიწრო-სპეციალურ ტეხნიკურ სპეროებათა მომსახურეობისათვის;

გ) აპარატი—დაწესებულებისა, უწყებისა და საწარმოს საპეროებისათვის ერთიანი ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურის მუშაობის შედეგების გამოსაყენებლად და ამა მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნულ დაწესებულებათა მოქმედებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად;

დ) სადგური სასწავლო ხასიათისა.

აღნიშნული დაწესებულებებისა, აპარატებისა, სადგურებისა და სადაჯოების შენარჩუნება ან გახსნა შეიძლება მხოლოდ ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტებთან შეთანხმებით—კუთვნილებისამებრ.

9. ა/კსფსრ-ის ყველა რესპუბლიკანური და ადგილობრივი დაწესებულება, რომელიც სპეციალურ ჰიდროლოგიურ და მეტეოროლოგიურ დაკვირვებას აწარმოებს, ეალდებულია მიაწოდოს ერთიანი ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურის ორგანიებს, მათი მოთხოვნისამებრ, სპეციალურ დაკვირვებათა და გამოკვლევათა შედეგები ერთიანი სამსახურის საპეროებისათვის.

10. ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისა, უწყებებისა, დაწესებულებებისა და საწარმოთა ინტერესების შესათანხმებლად მეტეოროლოგიისა და ჰიდროლოგიის სფეროში და ა/კსფსრ-ის ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურის წარსამართავად სახალხო მეურნეობისა და სოციალისტური მშენებლობის ინტერესების მიხედვით—ა/კსფსრ-ის ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტთან მოეწყოთა თათბირი შემდეგი შედგენილობით: კომიტეტის თავმჯდომარე და წევრები—ითთო წარმომადგენელი სსრ კავშირის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსი ა/კსფსრ-ში, გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსი ა/კსფსრ-ში, ამიერკავკასიის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, ამიერკავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიისა, ამიერკავკასიის სახელმწიფო დაზღვევისა და რესპუბლიკანური ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებისა და განათლების სახალხო კომისარიატებისა—მათი შეთანხმებისამებრ; თათბირის შედგენილობაში წევრებად შედიან აგრეთვე რესპუბლიკანურ ჰიდრო-მეტეოროლოგიურ დაწესე-

ბულებათა დირექტორები. სსრ კავშირის ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის წევრები შედიან თათბირში გადამწყვეტი ხმის უფლებით.

11. თათბირის ამოცანებს შეადგენს:

ა) განიხილოს ა/კსფსრ-ში ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურის განვითარების გეგმები იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შეესაბამება ეს გეგმები სახალხო მეურნეობის დარგებისა და ქვეყნის თავდაცვის საქმის მოთხოვნილებებს;

ბ) განიხილოს ფედერატიული მნიშვნელობის სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა ორგანიზაციის პროექტები და მათი სამუშაობის გეგმები;

გ) განიხილოს კომიტეტებისა და მათი ქვემდებარე სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებების მოქმედების ანგარიში;

დ) განიხილოს იმ საუწყებო აპარატების მოქმედების ანგარიშები, რომელნიც სათანადო უწყებებს მომსახურეობას უწევენ ჰიდრო-მეტეოროლოგიის მხრით.

12. თათბირს მოიწვევს ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტი საჭიროებისადამიხედვით. თათბირის დადგენილება ძალაში შედის მას შემდეგ, რაც მას დაამტკიცებს ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტი.

13. ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტი თავისი მოქმედების ანგარიშს, მასთან არსებული თათბირის დასკვნითურთ, წარუდგენს დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და იმავე დროს—სსრ კავშირის ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტს.

14. ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან, ამ რესპუბლიკების ტერიტორიაზე ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურის გამგებლობისა და ხელმძღვანელობისათვის, მოიწყობა ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტები, ხოლო კომიტეტებთან—თათბირები.

შენიშვნა. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტებს უფლება აქვთ მისცენ დასკვნა ჰიდროლოგიურ და ჰიდრომეტრიულ სამუშაოთა გეგმების შესახებ.

აღნიშნული რესპუბლიკების კომიტეტებისა და მათთან არსებული თათბირების შედგენილობას და ფუნქციებს განსაზღვრავენ ამავე რესპუბლიკების მთავრობები ამა დებულების შესაბამისად. რესპუბლიკანური კომიტეტის წევრებს დანიშნავს სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტის წარდგენით; ამასთანავე, ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამსახურის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა დირექტორები შედიან წევრებად რესპუბლიკების ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტებში თავისი თანამდებობის მიხედვით.

15. დაფინანსება ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტისა—მისი ქვემდებარე სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებებით და ობსერვატორიებით, ფედერატიული მნიშვნელობის ექსპედიციებით და აგრეთვე იმ დაწესებულებებით, სადგურებით და სდარაჯოებით, რომელთაც ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ფედერატიული მნიშვნელობისად სცნობს,—განისაზღვრება განსაკუთრებული ხარჯთაღრიცხვით, რაც შეტანილ იქნება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ხარჯთაღრიცხვაში სახელმწიფო ბიუჯეტის წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. უწყებისა, დაწესებულებისა და საწარმოს მიერ თავისი ვიწრო-სპეციალური მიზნებისათვის, ამა დებულების მე-8 მუხლის თანახმად, მოწყობილი სადგური და დაწესებულება დაფინანსებულ უნდა იქნეს სათანადო უწყებისა თუ დაწესებულების სახსარით და ხარჯთაღრიცხვით.

17. ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტს უფლება ეძლევა თავისი სამეცნიერო საჭიროებისათვის და ქვემდებარე დაწესებულებებისათვის მიიღოს საზღვარგარეთიდან, დადგენილი წესისამებრ და ბაჟის გადაუხდელად, მეტეოროლოგიური სადგურებისა და ლაბორატორიების გაწყობილობის სათანადო საგნები და მასალა.

18. ა/კსფსრ ჰიდრო-მეტეოროლოგიურ კომიტეტს აქვს ბეჭედი ა/კსფსრ სახელმწიფო ღერბის გამოსახულებით და თავისი სახელწოდების წარწერით.

დადგენილება № 223 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

62. ა/კსფსრ-ში რამის კულტურის განსავითარებლად საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

ერთ-ერთი მთავარი გზა სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სანედლეულო ბაზისის განვითარებისა და განმტკიცებისათვის და აგრეთვე იმისათვის, რათა ამ მრეწველობამ თავი დააღწიოს უცხოეთის ბაზრისაგან დამოკიდებულებას,—არის ბოკოიანი მცენარეების, ხოლო პირველ რიგში—კენდირისა და რამის ბოკოს მასსიური გამოყენება.

ა/კსფსრ მთელი რიგი რაიონების ბუნებრივ-ისტორიული პირობები შეესაძლებლობას გვაძლევს ფართოდ განვავითაროთ კენდირი და რამი, რომელნიც თავისი ღირებულობით და რენტაბელობით მოწოდებულ არიან ხელმძღვანელი და გარდამქმნელი როლი ითამაშონ.

წარმატებით დამთავრებული ცდები კენდირის და რამის დამუშავებისა და კატონიზაციის პროცესთა მექანიზაციის სფეროში ადასტურებს იმას, რომ ამ ახალი სახის სანედლეულო მცენარეების მასსიური წარმოება საკმაოდ შესაძლებელია.

ზემოაღნიშნულის მიხედვით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რადგანაც საჭიროა, ხომ რამის კულტურა ა/კსფსრ-ში მაქსიმალური სისწრაფით განვითარდეს, წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ-სა და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს და „კენდირ-რამი"-ს ტრესტს იხმარონ სათანადო ღონისძიებანი, რათა აღნიშნული კულტურის ფართობი ა/კსფსრ-ში 1933 წლის გაზაფხულისათვის მიღწეულ იქნეს მინიმუმ 20.000 ჰექტარამდე, იმ ვარაუდით, რომ 1935 წლის გაზაფხულისათვის ეს ფართობი 50,000 ჰექტარს მაინც შეადგენდეს.

2. რამის კულტურის განვითარება თავიდანვე სოციალისტური ტიპის დიდრონ მეურნეობათა (საბჭოთა მეურნეობანი და კოლექტიური მეურნეობანი) ხაზით უნდა წარიმართოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მიზნით საჭიროა აღებულ იქნეს გეზი დიდრონი მაშინიზირებული საბჭოთა მეურნეობების მოწყობისა, რომელნიც გარემოცულ იქნებიან დიდრონი კოლექტიური მეურნეობებით და რომელნიც უნდა წარმოადგენდნენ როგორც ამ ახალი კულტურის გავრცელების ბაზისს, ისე მისი პროდუქციის გადამუშავების ცენტრებს.

3. რადგანაც ახალი სუბტროპიკული საქსოვილო კულტურების განვითარების ძირითად საორგანიზაციო ფორმას საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების კომბინატები უნდა წარმოადგენდნენ, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს:

ა) გამოჰყოს ნატურად და მიუჩინოს „კენდირ-რამი"-ს ტრესტს საბჭოთა მეურნეობის მოსაწყობად მიწის მთლიანი მასსივი არა ნაკლებ 25.000 ჰექტარისა, რომელიც უშუალოდ უნდა ეკვროდეს სუბტროპიკული აგრო-ინდუსტრიალური კომბინატის დასავლეთ საზღვარს ფოთის რკინისგზასა და ბათომის რკინისგზის მაგისტრალს შორის, და

ბ) ერთი თვის ვადაზე გამოჰყოს აღნიშნულ რაიონში და გადასცეს სარგებლობისათვის „კენდირ-რამი"-ს ტრესტს 1.500 ჰექტარი მიწა, რაც გამოსადეგი უნდა იქნეს დაუყოვნებელი სასოფლო-სამეურნეო შეგუებისათვის და თავისუფალი უნდა იყოს საგლეხო ხარეზიანი მიწათსარგებლობისაგან.

4. რადგანაც აგრო-ინდუსტრიალური კომბინატის რაიონში რამი ძირითად კულტურას უნდა წარმოადგენდეს, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს იხმაროს სათანადო ღონისძიებანი აღნიშნულ რაიონში ამ კულტურის მაქსიმალურად გავრცელებისათვის და აგრეთვე კომბინატის საორგანიზაციო გეგმის შემუშავების დროს გაითვალისწინოს და სათანადო ღონისძიებებით უზრუნველჰყოს ამ ამოცანის აღსრულება.

5. დაევალოს „კენდირ-რამი"-ს ტრესტს იხმაროს სასწრაფო ღონისძიებანი, რათა 1931 წლის დასაწყისისათვის შეიქმნას სათესლე ფონდი, რაც საკმარისი უნდა იყოს 1932 წლის გაზაფხულზე 10.000 ჰექტარი რამის გასაშენებლად; ამ მიზნით ტრესტის მიერ დაბრონირებულ უნდა იქნეს, მარტოოდენ თესლის დასამზადებლად, რამის ბუჩქი მთლად საქართველოს და აზერბაიჯანის ფარგლებში, რაც იზრდება საცდელ-სამეცნიერო დაწესებულებათა, კოლექტიურ მეურნეობათა და კერძო პირთა ტერიტორიაზე.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს— აკრძალოს რამის ბუჩქის მოსპობა და გადარგვა, მოკრა ან სხვა სახით მისი. გამოყენება თვითეულ ცალკე შემთხვევაში „კენდირ-რამი"-ს ტრესტებთან შეთანხმების გარეშე. ტრესტმა უნდა იხმაროს სასწრაფო ღონისძიება რამის ბუჩქის მოვლისა და მეთვალყურეობისათვის და თესლის კონტრაკტაციისათვის კოლექტიურ და ინდივიდუალურ მეურნეობებში.

7. რადგანაც რამის კულტურამ მძღვანებელი ადგილი უნდა დაიჭიროს კოლხიდის ვაობების სასოფლო-სამეურნეო რაიონის სისტემაში—ამ ვაობების დაშრობის შემდეგ, წინადადება მიეცეს მებამბეობის მთავარი კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში ყოველგვარად დააჩქაროს სათანადო წყალ-სამეურნეო სამუშაოები.

8. რადგანაც ა/კსფსრ-ის ბუნებრივი პირობები შესაძლებლობას იძლევა, რომ ა/კსფსრ-ში რამისა და კენდირის გარდა განვითარებულ იქნეს მთელი რიგი სხვა ძვირფასი სუბტროპიკული საქსოვილო კულტურები (ახალ-ზელანდიის სელი, დრაცენი, იუკი, იტალიური კანაფი, ბამია და სხვ.), წინადადება მიეცეს „კენდირ-რამი"-ს ტრესტს და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ფართოდ გაშალონ მუშაობა სათანადო სათესლე ფონდების შესაქმნელად, ამ კულტურებისათვის გამოსადეგი მიწების გამოსანახავად და მათი განვითარების საპერსპექტივო გეგმის შესამუშავებლად.

9. საჭირო კადრების მომზადების უზრუნველსაყოფად წინადადება მიეცეს აზრბაიჯანის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) დაყოვნებლივ გამოჰყონ უმაღლეს სასწავლებლებსა, უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებსა და ტეხნიკუმებში პრაქტიკანტები და სტაჟიორები 1930 წელს რამის კულტურის დარგში სამუშაოდ;

ბ) მოაწყონ 1930 წლის ოქტომბრის 1-დან უმაღლეს სასწავლებლებსა და უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში სუბტროპიკული საქსოვილო კულტურების სპეციალური კურსები და კათედრები, ხოლო საქართველოში დაწყებულ უნდა იქნეს ამ კულტურების სპეციალური ტეხნიკუმის ორგანიზაცია.

10. წინადადება მიეცეს მებამბეობის მთავარი კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში გადასცეს „კენდირ-რამის"-ს ტრესტს—თავისი ბალანსიდან „კენდირ-რამი"-ს ტრესტის ბალანსში გადატანით—ქუთაისის კონსერვირებული ბამბის საწმენდი ქარხანა რამის გადამუშავების საქმის ორგანიზაციისათვის.

11. წინადადება მიეცეს აზრბაიჯანისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოებს უმოკლეს დროში გამოჰყონ და გადასცენ „კენდირ-რამის"-ს ტრესტს საჭირო მიწის ნაკვეთები საცდელი თესვისა, სანერგეებისა და სათესლეების მოსაწყობად.

12. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—იხმარონ სათანადო ღონისძიება, რათა რამის კულტურის რაიონები თავის დროზე და სრულად იქნეს უზრუნველყოფილი პურით, სამრეწველო საქონლით და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებით, რისთვისაც თავის გეგმებში ცალკე უნდა გამოჰყონ აღნიშნული რაიონების მომარაგების საქმე.

13. წინადადება მიეცეს „კენდირ-რამის"-ს ტრესტის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში სისტემატიურად, კვარტალში ერთხელ მაინც, მიაწოდოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ინფორმაცია ახალი სუბტროპიკული საქსოვილო კულტურების გავრცელებისათვის წარმოებული მუშაობის მსვლელობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა
მმართველის თანამდ. აღმ. **ბომბინი.**

1930 წ. მარტის 3.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარაფ ვოსტოკ"-ს 64 №-ში 1930 წ. მარტის 8.

დადგენილება № 225 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

63. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის მომზადების გასძლიერებლად საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მოსამზადებელი პერიოდი უკვე თავდება. მალე უნდა დაიწყოს თესვის პრაქტიკულად განხორციელება.

მიუხედავად ამისა, მოსამზადებელი მუშაობა თესვისათვის არა თუ არ შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს, არამედ ეს მუშაობა დღესაც შეუწყნარებელი მოდუნებული ტემპით სწარმოებს, რაც მთელს კამპანიას საფრთხეს უმზადებს.

ზემოაღნიშნულის გამო ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს იხმაროს გადამწყვეტი ღონისძიებანი თესვისათვის მოსამზადებელი მუშაობის საჩქაროდ დამთავრებისათვის, იმ ანგარიშით, რომ თესვის დაწყებამდე სავსებით დასრულდეს მთელი მუშაობა თესლის მიზიდვისა და გაწმენდისა, სასოფლო-სამეურნეო არტელებში მუშა-საქონლის და ინვენტარის განსაზოგადოებისა, ტრაქტორების და მანქანების რემონტისა და სხვ. სფეროში.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს იხმარონ ღონისძიება იმისათვის, რათა სამინდვრე მუშაობის ორგანიზაციას ადგილობრივ პირველ რიგში კოლექტიურ მეურნეობებში შეუდგნენ; კერძოდ—კოლექტიურ მეურნეობებში თესვის ორგანიზაციისათვის განხორციელებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებანი, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. თებერვლის 26-ის დადგენილებაში:

ა) ყველა კოლექტიურ მეურნეობაში დაუყოვნებლივ შემუშავებულ იქნეს საგაზაფხულო სამინდვრე სამუშაოთა უმარტივესი სამუშაო გეგმები მათი დანაწილებით ბრიგადებად, მინდვრებად, კულტურებად და სხვ.;

ბ) საგაზაფხულო სამუშაოთა გეგმები თვითეულ კოლექტიურ მეურნეობაში უნდა დამუშავდეს მასსიურად და ამ გეგმებმა უნდა მიაღწიოს ყოველ უბნამდე თუ ბრიგადამდე, რათა ამით კოლექტიური მეურნეობის თვითეულმა წევრმა იცოდეს თავისი ადგილი წარმოებაში, იცოდეს, თუ რა სამუშაოს ასრულებს იგი და ვის ემორჩილება;

გ) გამოყოფილ უნდა იქნენ თვითეულ კოლექტიურ მეურნეობაში ცალკეულ სამუშაოთა პასუხისმგებელი ხელმძღვანელნი, შედგენილ იქნეს ცალკეული უბნებისა და დარგებისათვის საჭირო მუშა-ძალის ზედმიწევნითი ანგარიში; თავის დროზე უნდა მოხდეს ამ მუშა-ძალის განაწილება და კოლექტიური მეურნეობის ცალკე წევრებს უნდა მიეჩინოს განსაზღვრული სამუშაო (სპეციალური ბრიგადა, გუთნის დედები, სპეციალური პირები ოთხფეხი საქონლის მოსავლელად და სხვ.); თანაც, არა უგვიანეს ორი კვირისა სამინდვრე სამუშაოთა დაწყებამდე, უნდა განისაზღვროს ნასაქმის ნორმები და შეფასება ცალკეულ სამუშაოთა მიხედ-

ვით და უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მუშა-ძალის განწესთა სწორე აღნუსხვა და მათი აღსრულება.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—მიანდონ რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს:

ა) კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრებთან ერთად:

ერთი კვირის ვადაზე შეიმუშაონ და გაუგზავნონ კოლექტიურ მეურნეობებს საგაზაფხულო სამუშოთა სანიმუშო გეგმა უადრესად მარტივი სქემისა.

არა უგვიანეს მარტის 10-სა,—დაბლობი რაიონებისათვის, და არა უგვიანეს მარტის 15-სა—ა/კსფსრ-ის დანარჩენი რაიონებისათვის—დაამთავრონ კოლექტიურ მეურნეობათა მიწების შემოსახღვრა; თანაც ეს მიწები უნდა განაწილდეს მინდვრებად და ზედმიწევნით უნდა აღინიშნოს, სად რა კულტურა დაითესება, რამდენი და რა ვადაზე.

არა უგვიანეს მარტის 15-სა დაამთავრონ საწვევი ძალის აღნუსხვა და ორგანიზაცია, უზრუნველჰყონ ეს საწვევი ძალა საკვებით, რისთვისაც უნდა შეიქმნას სპეციალური საკვები ფონდები საგაზაფხულო თესვის მზადებისა და განხორციელების მთელი პერიოდისათვის, განამზადონ საქმლის შესაბმელი გაწყობილობა და განაახორციელონ ცოცხალი საწვევი ძალის ორგანიზაცია მანქანა-ცხენ-ხარის სადგურებად და ცხენ-ხარის კოლონებად ამ საწვევი ძალის. მუშაობის ზედმიწევნითი განაწილებით.

ბ) რესპუბლიკების კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრებთან და მუშათა და გლეხთა სახალხო კომისარიატებთან ერთად:

ათი დღის ვადაზე შეიმუშაონ და მიაწოდონ ადგილებს აღნუსხვისა და ანგარიშწარმოების უადრესად მარტივი ფორმები.

4. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს იხმარონ ღონისძიება, რათა მათი რესპუბლიკების ფარგლებში ხუთი დღის ვადაზე მობილიზებულ იქნენ კოლექტიურ მეურნეობათა თესვის ორგანიზაციისა და გატარებაში პრაქტიკული მონაწილეობის მისაღებად ვადით მაისის 1-დე:

ა) ყველა სახელმწიფო და კოპერატიულ დაწესებულებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში მომუშავე აგრონომებისა, ზოოტეხნიკოსებისა და ვეტერინარების არა ნაკლებ ოთხმოცდაათი პროცენტისა; თანაც მობილოზებულთ მიეცეს სასყიდელი იმ დაწესებულებისა და ორგანიზაციის მიერ, საიდანაც ისინი მობილიზებულ იქნენ, მივლინების არსებული ნორმების თანახმად;

ბ) უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების მე-3 და მე-4 კურსის ყველა მოსწავლენი და სადიპლომოსნები და აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმების მე-3 და მე-4 კურსის ყველა მოსწავლენი (აგრონომები, ზოოტეხნიკოსები, ვეტერინარები, მიწათმომწყობნი).

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს იმავე მიზნით და იმავე წესით სამი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღის ვადაზე მოახდინონ მობილიზაცია ყველა ფედერატიულ დაწესებულებასა და ორგანიზაციაში მომუშავე აგრანომებისა, ზოოტეხნიკოსებისა და ვეტერინარების არა ნაკლებ ოთხმოცდათი პროცენტისა.

5. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან და ფინანსთა სახალო კომისარიატთან ერთად, იმავე ვადაზე განსაზღვრონ მობილიზებულთა სამუშაოზე გაგზავნის საერთო წესი, მობილიზებული სპეციალისტებისათვის სასყიდლის მიცემის ნორმები და მობილიზებულ მოსწავლეთა სასყიდლის წყაროები.

6. რადგანაც კოლექტივიზაციის ზრდასთან ერთად ა/კსფსრ-ში და განსაკუთრებით მის ცალკეულ რაიონებში კოლექტიური მეურნეობებით არაგაერთიანებულ საგლეხო მეურნეობათა ხვედრითი წონა ჯერ კიდევ თვალსაჩინოა, წინადადება მიეცეს თესვის კამპანიის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს სათესლე ფონდების მიზიდვის დაჩქარებით, აგრარული მომსახურეობის ორგანიზაციით, ცხენ-მანქანისა და ცხენ-ხარის კოლონების მოწყობით და სხვა ამგვარი ღონისძიებებით ხელი შეუწყონ საგლეხო მეურნეობების თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებას, რათა ამით მთელს ა/კსფსრ-ში საერთოდ უზრუნველყოფილ იქნეს ნათესების გაფართოებისა და მოსავლიანობის გადიდების გეგმის მთლიანად აღსრულება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე**

1930 წ. მარტის 6
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს მე-60 №-ში 1930 წ. მარტის 7-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

64. ხელისუფლების ქვედა ორგანოების ამოცანების შესახებ კოლექტივიზაციის საქმეში.

შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში სოფლად კოლექტიური მეურნეობის მშენებლობამ მოიცვა მოჯამაგირეთა, ღარიბთა და საშუალო გლეხთა ფართო მასსები. ეს იმას მოწმობს, რომ ფართო მასსებმა თანდათან უფრო შეიგნეს სოფლის მეურნეობის სოციალისტური ფორმების უპირატესობა.

მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთა აზროვნებაში მომხდარი გარდატეხა ავალებს ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს

მთელი ძალღონით დაუჭირონ მხარი მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთა მასსების ქვედა ფენებში აღძრულ ინიციატივას მეურნეობის კოლექტიური ფორმების მოწყობისა, განვითარებისა და განმტკიცების საქმეში. ხელისუფლების ყველა ორგანო ვალდებულია გაავრცელოს მასსებში უკვე მოწყობილ კოლექტიურ მეურნეობათა გამოცდილებანი, წინასწარ აღკვეთოს და უფნებელჰყოს კულაკებისა და კლასობრივი მტრული ელემენტების ცდა—ხელი შეუშალონ კოლმეურნეობითს მოძრაობას. საბჭოები ვალდებულ არიან აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება კოლმეურნეობათა განმტკიცების საქმეს.

ხელისუფლების ორგანოების უმთავრეს ამოცანას შეადგენს — აუხსნან ღარიბ და საშუალო გლეხებს, რომელნიც მეურნეობის ახალ ფორმებს ეტანებიან, რამდენად სასარგებლოა და უმჯობესი კოლექტიური მეურნეობის ფორმები; ამასთანავე, გლეხთა მასსების გადაწყვეტილება კოლექტივში შესვლის თაობაზე უნდა იყოს ნებაყოფლობითი და არა ადმინისტრატიული ზედგავლენით გამოტანილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლების არა ყოველი ადგილობრივი ორგანო და არა ყოველთვის ახერხებს წარმატებით გადასწყვიტოს მისთვის დაკისრებული ამოცანები, რაც დაკავშირებულია კოლმეურნეობათა მასსიურ ზრდასთან. ზოგიერთი მათგანი აშკარად უკან ჩამორჩენილია, კუდში მისდევს ამ ზრდას და უძლურია ორგანიზაციულად მოაწყოს მასსების ინიციატივა და მოძრაობა. არის აგრეთვე შემთხვევები, როდესაც ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები,—ინიციატივის ორგანიზაციისა, ახსნა-განმარტებისა და მოძრაობის ხელმძღვანელობისათვის საჭირო ხანგრძლივი მუშაობის ნაცვლად,—მიმართავენ ხოლმე უფრო მარტივ საშუალებას—ადმინისტრატიული ზედგავლენისა და ზეევიდან ქვევით ბრძანების სისტემას.

ყოველგვარი ცდა ნებაყოფლობითი პრინციპის ხელისუფლების ბრძანებით შეცვლისა არის არა თუ უარყოფა კოლექტივიზაციის აზრისა და ბუნებისა, არამედ ამავე დროს არის უხეში დამახინჯება საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკისა, როგორც კოლმეურნეობითი მოძრაობის, ისე ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობათა მიმართ.

საბჭოთა ხელისუფლება ყოველმხრივ ეხმარება გლეხობის ძირითად მასსებს სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში. ამავე დროს საბჭოთა ხელისუფლება დახმარებას უწევს იმ ღარიბ და საშუალო მეურნეობებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტიათ კოლექტივში შესვლა. ასეთ ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობათათვის, რომლებიც აფართოებენ ნათესი მიწების სივრცეს, ადიდებენ მოსავლიანობას და პროდუქციის საქონლიანობას, ახალი კანონი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ შეიცავს მთელ რიგ შეღავათებსა და უპირატესობას.

ამასთანავე, სოფლის მეურნეობის საქონლიანობის გადიდებისათვის საბჭოთა ხელისუფლება შეუფარდებს კონტრაქტაციისა და დაკრედიტების სისტემას, კოლექტიურ მეურნეობების მსგავსად, აგრეთვე ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ მეურნეობებს.

ხელისუფლების აღგილობრივი ორგანოები ვალდებულ არიან აუხსნან გლეხობას, რომელიც ჯერ კიდევ ინდივიდუალურ მეურნეობას ეწევა, თუ რა რეალური უპირატესობა აქვს კოლექტიურ ფორმებს, თანაც განუმარტონ ის შეღავათები, რაც დაწესებულია საბჭოთა კანონებით კოლექტიურ მეურნეობათათვის. ცოცხალმა მაგალითებმა და რეალურმა ფაქტებმა უნდა დაარწმუნონ ის ღარიბი და საშუალო გლეხები, რომელნიც ჯერ კიდევ კოლმეურნეობაში არ შესულან, თუ რა უპირატესობას აძლევს მათ კოლექტიური ფორმები და რამდენად ადიდებს იგი საბჭოთა ქვეყნის ყველა მშრომელის შრომის ნაყოფიერებას და პროდუქციის საქონლიანობას.

საბჭოები ხელმძღვანელობას უნდა უწევდნენ კოლმეურნეობის მოძრაობას და ეხმარებოდენ ღარიბ და საშუალო გლეხობას, რათა მან გამოარკვიოს, მეურნეობის ორგანიზაციის რომელი ფორმა უფრო მიზანშეწონილი და სასარგებლოა დღევანდელ პირობებში—სასოფლო-სამეურნეო არტელი, მიწის საერთო შრომით დამუშავებელი ამხანაგობა, სასოფლო ამხანაგობა თუ გაერთიანების სხვა რამ ფორმა.

სწორედ ხელისუფლების ორგანოებში უნდა ჰპოვონ ხელმძღვანელობა გლეხთა მასსებმა, რომლებიც ისწრაფიან კოლექტივიზაციისაკენ, რათა გამოარკვიონ, თუ რა ფორმებით შეუძლიანთ საუკეთესოდ გამოიყენონ არსებულ პირობებში თავიანთი შრომა და საწარმოო იარაღი. დაბალი ფორმებიდან მაღალ ფორმებზე აჩქარებით გადასვლა, ე. ი.—მიწის ერთად დამუშავებიდან სასოფლო-სამეურნეო არტელზე, არტელიდან კომუნაზე, როცა ასეთი გადასვლისათვის ჯერ კიდევ სათანადო პირობები არ არსებობს, მიუტევებელი შეცდომაა. ასეთსავე უხეშ შეცდომას წარმოადგენს საერთო მისწრაფება კომუნების შექმნისათვის იქ, სადაც ამისათვის მომზადებული არ არის წინასწარი პირობები და სადაც ჯერ კიდევ უფრო მიზანშეწონილ ფორმად ითვლება არტელი ან კიდევ მიწის საერთო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობა.

იმის ცდა, რომ განსაზოგადოებულ იქნეს კოლმეურნეობის წევრების არა მარტო მუშა საქონელი, არამედ მეწველი და წვრილფეხა საქონელი, შინაური ფრინველი, ბოსტანი, ბაღი და სხვა საკარმიდამო მიწები, აგრეთვე საცხოვრებელი შენობები,—გამრუდებაა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკისა კოლმეურნეობის სფეროში.

რათა ენერგიულად ხელი შეეწყოს უკვე მოწყობილ კოლმეურნეობებს, აღმოეხვრილ იქნეს მათი განვითარების ხელშემშლელი პირობები, აგრეთვე რათა შემდეგში სრულიად თავიდან აცილებულ იქნეს საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის გამრუდება კოლმეურნეობის საქმეში, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემაკალი რესპუბლიკების მთავრობებს:

1. დაავალონ ხელისუფლების ქვედა ორგანოებს მიიღონ ენერგიული ღონისძიებანი უკვე მოწყობილ კოლექტიურ მეურნეობათა განმტკიცებისათვის, ნიაქციონ რა განსაკუთრებული ყურადღება მოპოვებულ მიღწევათა გაძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიერების საქმეს მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში და ძირიანად აღმოფხვრან კულაკებისა და ანტისაბჭოთა ელემენტების ყოველგვარი ცდა—ჩაშალონ ფართოდ გაშლილი კოლმეურნეობითი მოძრაობა.

2. აუხსნან ხელისუფლების ქვედა ორგანოებს, რომ კოლექტივიზაციის საქმეში მათ ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყონ სოფლის აქტივის ინიციატივის, რისთვისაც მათ ევალებათ აწარმოონ ფართო ახსნა-განმარტებითი და და საორგანიზაციო მუშაობა უფრო ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად, რათა მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთა ფართო მასსები ნებაყოფლობით გადავიდენ მეურნეობის კოლექტიურ ფორმებზე.

3. მისცენ დირექტივები ხელისუფლების ქვედა ორგანოებს, რათა მათ აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება ღარიბ და საშუალო გლეხებს განსაზოგადოებულ მეურნეობათა მოწყობაში სასოფლო-სამეურნეო არტელისა, მიწის საერთო ძალით დამმუშავებელი ამხანაგობის ან სხვა უფრო მარტივ საწარმოო გაერთიანების სახით—მათი მომზადებისა, სამეურნეო პირობებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ყოფაცხოვრების მიხედვით.

4. დაავალონ ხელისუფლების ქვედა ორგანოებს—კოლექტიურ მეურნეობაში საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოების დროს—არ მოახდინონ მეწველი საქონლისა, რომელსაც სამრეწველო მნიშვნელობა არა აქვს, წვრილფეხა საქონლისა, შინაური ფრინველისა, საკარმიდამო მიწებისა, (ბოსტნებისა, ბაღებისა და კოლ. მეურნ. წევრთა საცხოვრებელი შენობების) განსაზოგადოება.

5. დაავალონ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებს და რესპუბლიკების პროკურორებს დაუყოვნებლივ მოხსნან თანამდებობიდან და მისცენ სამართალში ის პირები, რომელნიც დაარღვევენ ამა დადგენილებიდან გამომდინარე ამა თუ იმ მოთხოვნას.

6. ერთი კვირის ვადაზე გამოსცენ სათანადო ინსტრუქცია ამ დადგენილების განსავითარებლად.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. იაკუბოვი.**

1930 წ. მარტის 7.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 63 №-ში 1930 წ. მარტის 10-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 224 ა/ცსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

65. მეცხოველეობის პროდუქტებისა, ცხოველთა ნედლეულობისა და ბრინჯის კონტრაქტაციის საკითხების შესახებ.

რადგანაც ადგილები სუსტად არიან მომზადებული კონტრაქტაციის ახალი ფორმებისათვის და რადგანაც დაუკონტრაქტებელი დარჩა სასაქონლო პროდუქციის თვალსაჩინო ნაწილი, აუცილებლად საჭიროა, რომ კონტრაქტაციაში ჩაებნენ მთელი საზოგადოებანი და ყველა ინდივიდუალური მეურნეობა; ამის გამო ა/ცსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

რათა საცსებით მოცულ იქნეს სოფლის მეურნეობის, და უმთავრესად მეცხოველეობის (საქონელი, ტყავი, მატყლი, რძის პროდუქტები და მეფრინველეობის პროდუქტები), სასაქონლო პროდუქცია, საჭიროდ იქნეს ცნობილი კონტრაქტაციის დებულებასა და ფორმებში შემდეგი დამატებების შეტანა:

1. კონტრაქტაციამ უნდა მოიცვას, კოლექტიურ მეურნეობებთან ერთად, ყველა ინდივიდუალური ღარიბი და საშუალო მეურნეობაც და აგრეთვე უმარტივესი შენაერთიც, რომელიც კოლექტივში არ შესულა (მიწის საერთო ძალით დამუშავების ამხანაგობა და სასოფლო ამხანაგობა). აღნიშნული მეურნეობანი დაკონტრაქტებულ უნდა იქნენ როგორც მთელ სოფლებად, ისე ცალკე ჯგუფებად.

2. მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონების გარეშე განხორციელდება კულაკურ მეურნეობათა უკავანსო კონტრაქტაცია მეცხოველეობის პროდუქტების დარგში (პროდუქტიულ-სახორცე საქონელი, ტყავეულობის ნედლეული, მატყლი, რძის პროდუქტები, მეფრინველეობის პროდუქტები).

3. საკონტრაქტაციო ხელშეკრულება ბრინჯის შესახებ დაიდება კოლექტიურ მეურნეობასთან, უმარტივეს შენაერთთან, სოფლის საზოგადოებასთან და აგრეთვე ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობასთან, რომელიც ჯერ შენაერთში არ შესულა.

შენიშვნა. საკონტრაქტაციო ხელშეკრულება შეიძლება დაიდვას აგრეთვე შეძლებულ საგლეხო მეურნეობასთან, რომელიც ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სფეროში საშუალო გლეხთა შეღავათს მოკლებულია, ხოლო ამისათვის დაცულ უნდა იქნეს დაწესებული დიფერენციერებული ნორმები და ავანსირების ნორმები.

4. კულაკური მეურნეობა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადს ინდივიდუალური წესით იხდის, ვალდებულია დათესოს ბრინჯი მთელს ფართობზე, რაც საამისოდ გამოსადეგი იქნება. ფართობის ოდენობას განსაზღვრავს სასოფლო ყრილობა და დაამტკიცებს სასოფლო საბჭო. სასოფლო საბჭო განსაზღვრავს არა მარტო დასათესად სავალდებულო ფართობის ოდენობას, არამედ თვით დათესვის ვადასაც. უკეთუ კულაკური მეურნეობა დაარღვევს დათესვის ვადასა და ოდენობას, მას ჩამოერთმევა უფლება მიწის სარგებლობისა, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც გადაეცემა უახლოეს კოლექტიურ მეურნეობას, უმარტივეს შენაერთს, ღარიბ და საშუალო მეურნეობას ან საბჭოთა მეურნეობას.

5. სასურსათო და ნედლეული რესურსების გასადიდებლად და სამრეწველო მოსახლეობის გეგმიანი მომარაგების უზრუნველსაყოფად — კოლექტიურ და ინდივიდუალურ ღარიბ მეურნეობათა და მათ უმარტივეს შენაერთთა კონტრაქტაციის დროს დაწესდეს პროდუქტების მინიმალური ნორმები, რაც აუცილებლად ჩაბარებულ უნდა იქნეს ზემოაღნიშნულ მეურნეობათა მიერ.

6. კოლექტიურ მეურნეობათა, უმარტივეს შენაერთთა და ინდივიდუალურ საშუალო და ღარიბ მეურნეობათა დაკრედიტება და აგრეთვე მათი მომარაგება სასურსათო და სამრეწველო საქონლით და წარმოების საშუალებებით — განხორციელდეს ჩასაბარებელი პროდუქციის დაწესებული ნორმებისა და ვალდებულების შესრულების ვადების მიხედვით; ამასთანავე, იმ მეურნეობას, რომელიც ვალდებულებას ვადამდე ადრე შეასრულებს ან დაწესებულ ნორმაზე მეტ საქონელს ჩააბარებს, შეეფარდოს წახალისების მეთოდი დამატებითი ნორმის საქონლის მიცემით.

ხოლო, უკეთუ ჩაბარების ვადა და ნორმა შესრულებულ არ იქნა, სამრეწველო საქონლით მომარაგების ნორმაც სათანადოდ შემცირდება.

7. საქონლისა, ცხოველთა ნედლეულისა და ბრინჯის კონტრაქტაციის გატარების დროს უნდა შემუშავდეს კულაკურ მეურნეობებთან დასადები სპეციალური ტიპის ხელშეკრულებანი, რომლებშიაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგ ღონისძიებათა განხორციელება:

ა) მიცემა მტკიცე წარმოებითი დავალებისა და ვადებისა—იმ ვალდებულებით, რომ კულაკურმა მეურნეობამ სრულად დათესოს მთელი სათესი ფართობი, რაც კი მას აქვს;

ბ) ვალდებულება მთლად სასაქონლო პროდუქციის სრულიად ჩაბარებისა;

გ) ვალდებულება, რომ კულაკურმა მეურნეობამ განახორციელოს აგრომინიმუმი და ზოომინიმუმი და დაემორჩილოს დამაკონტრაქტებელი ორგანიზაციის აგროტეხნიკური პერსონალის წინადადებებს.

შენიშვნა. აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოიწვევს კულაკისათვის მიწის ფართობის ჩამორთმევას, რომელი ფართობიც გადაეცემა კოლექტიურ მეურნეობას ან ღარიბ და საშუალო გლეხთა სხვა შენაერთს.

8. დასაკონტრაქტებელი კულაკური მეურნეობანი შეტანილ იქნებიან სამრეწველო და სასურსათო საქონლით მომარაგების გეგმაში სამომხმარებლო ნორმების მიხედვით; თანაც აღნიშნული პროდუქტები კულაკურ მეურნეობას მიეცემა ანგარიშის ნაღდად გასწორებით და მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი შეასრულებს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებას.

კულაკურ მეურნეობათა აღნიშნული საქონლით მომარაგება სწარმოებს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული სულობითი ნორმების თანახმად — პროდუქციის ჩაბარების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. საქონლიანობის შენარჩუნებისა და აგრეთვე მისი ზრდის გაძლიერების მიზნით—დაკონტრაქტებულ კულაკურ მეურნეობებს მიეცემათ აგრეთვე ზოგიერთი საწარმოო საქონელი და მავნებლებთან ბრძოლის საშუალებანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოად. **ა. ბომბინი.**

1930 წ. მარტის 7.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 63 №-ში 1930 წ. მარტის 10-ს.

დადგენილება № 228 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

66. ა/კსფსრ-ის სახალხო მეურნეობის 1930-31 წლის საკონტროლო ციფრების შედგენისა და განხილვის წესის შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სახალხო მეურნეობის 1930-31 წლის საკონტროლო ციფრების შედგენის საკითხის შესახებ 1930 წლის თებერვლის 28-ს მიღებული დირექტივების („სსრკ ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის იზვესტია"-ს 59 №-ი) აღსასრულებლად და განსავითარებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა) შეტანილ იქნეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის 1930-31 წლის საკონტროლო ციფრებში დიდროვანი სამეურნეო შენაერთების (სამრეწველო შენაერთები, საბჭოთა მეურნეობების შენაერთები და საგარეო და შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის შენაერთები) საწარმოო-საფინანსო გეგმები;

ბ) გაშლილ იქნეს საკონტროლო ციფრების ძირითადი ელემენტები ტერიტორიალური და საკვარტალო ხაზით; ხოლო სოფლის მეურნეობის დარგში—ოლქებისა და ორი თესვის კამპანიის ხაზით.

2. ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის 1930-31 წლის საკონტროლო ციფრები შედგენილ იქნეს შემდეგი წესით:

ა) ყველა უწყება და ორგანიზაცია და აგრეთვე ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიები ვალდებულ არიან მტკიცედ იხელმძღვანელონ სამუშაოთა პროგრამა, მაჩვენებელთა სისტემა და მეთოდოლოგიური წინადადებანი ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და არ შესცვალონ ისინი ამ უკანასკნელთან წინასწარ შეუთანხმებლად;

ბ) 1930-31 წლის საკონტროლო ციფრების დირექტივებისა და ლიმიტების პროექტებს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ დადგენილი ფორმების თანახმად,—იმ დამატებებით, რაც ამ ფორმებში ა/კსფსრ სახელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიფო საგეგმო კომისიამ შეიტანა,—შედგენენ ყველა უწყებანი და დაწესებულებანი როგორც რესპუბლიკანური, ისე საამიერკავკასიო, და აგრეთვე რესპუბლიკანური სახელმწიფო საგეგმო კომისიები—ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის საერთო ხელმძღვანელობით, ამ უკანასკნელის მიერ დადგენილ ვადაზე, ისეთი ვარაუდით, რომ მოხსენება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს წარედგინოს აპრილის 1-ს ხუთთვიან საკონუნქტურო ანგარიშთან ერთად.

3. ამ დირექტივების საფუძველზე აპრილისა და მაისის განმავლობაში ყველა უწყებანი და დაწესებულებანი და აგრეთვე რესპუბლიკებს სახელმწიფო საგეგმო კომისიები—ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ მინდობილი ნაწილის ფარგლებში- შეიმუშავებენ სათადარიგო გეგმებს ისეთი ვარაუდით, რომ ეს გეგმები დამთავრებული სახით წარედგინოს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას არა უგვიანეს ივნისის 1-სა, ხოლო მრეწველობის გეგმა—არა უგვიანეს ივნისის 15-სა.

4. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ ივნისის განმავლობაში უნდა აწარმოოს წარდგენილი სადარგო მასალების კრიტიკული შეფასება, უნდა დაამუშაოს ეს მასალები, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მაისის დირექტივების თანახმად, უწყებებთან და რესპუბლიკებთან ერთად, ისეთი ვარაუდით, რომ ეს მუშაობა ივლისის 1-სათვის დაამთავრებულ იქნეს.

5. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია სახალხო მეურნეობის 1930-31 წლის საკონტროლო ციფრების პროექტს წარუდგენს განსახილველად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ივლისის 25-სათვის.

6. სახალხო მეურნეობის მთლიანი გეგმის შედგენის მიზნით, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული 1930 წ. თებერვლის 28-ის დადგენილების თანახმად, დაევალოს ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედ საკავშირო მნიშვნელობის დაწესებულებებს და აგრეთვე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების დაწესებულებებს—თავისი წლიური გეგმები, ყველა საანგარიშო და სხვა მასალა წარადგინონ, სათანადო სისტემის მეშვეობით, ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მითხოვნის თანახმად და ამ უკანასკნელის მიერ დანიშნულ ვადაზე.

7. ამიერკავკასიის უწყებანი (სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი, ვაჭრობის სახ. კომისარიატი და სხვ.) ვალდებულ არიან მათ მიერ საკავშირო უწყებაში წარსაგზავნი საკონტროლო ციფრების მასალის ასლი წარუდგინონ ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას აღნიშნული მასალის საკავშირო უწყებისათვის გაგზავნისათანავე.

8. საკონტროლო ციფრების საფუძველებში სახალხო განათლების ხაზით გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

ა) სასკოლო ქსელი;

ბ) მოსწავლეთა კონტინგენტი;

გ) სასკოლო მშენებლობაში კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა;

დ) სასკოლო საქმის დაფინანსების საერთო მოცულობა;

ე) ღონისძიებანი, რაც საჭიროა სასწავლო წლის დასაწყისს სასწავლო ქსელის გასაშლელად და ამით გამოწვეული ხარჯების რაოდენობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებმა ზემოაღნიშნული საფუძვლები საკონტროლო ციფრებისა სახალხო განათლების დარგში უნდა წარუდგინონ ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას მარტის 20-სათვის, ხოლო ამ უკანასკნელმა—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს არა უგვიანეს აპრილის 1-სა.

9. ა/კსფსრ სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების საკონტროლო ციფრებს 1930-31 წლისათვის შეადგენს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი—ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ შედგენილი მოლად ა/კსფსრ-ის სახალხო მეურნეობის ლიმიტებისა და დირექტივების საფუძველზე.

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს დაუყონებლივ შეუდგეს მოსამზადებელ მუშაობას სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების 1930-31 წ. საკონტროლო ციფრების შესადგენად და აწარმოოს ეს მუშაობა, ხოლო შეუთანხმოს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას მოთხოვნები ცალკეული ორგანიზაციებისადმი და აგრეთვე ვადები მასალის წარდგენისა.

10. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს მტკიცედ ადევნონ თვალყური ამა დადგენილების აღსრულებას, განსაკუთრებით ვადების დაცვის მხრით.

11. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა, ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ერთად, უნდა წარმოადგინოს პროექტი დადგენილებისა ბიუჯეტის და ერთიანი საფინანსო გეგმის შედგენის წესისა და ვადების შესახებ.

12. საქონლის ბრუნვის გეგმის დამუშავება დაეკისროს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს—ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ განსაზღვრული მოცულობით და იმ ვადაზე, რასაც ეს უკანასკნელი დადგენს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ბომბინი.**

1930 წ. მარტის 9.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

67. „კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებში შესატანი საპაიო გადასახადის რაოდენობისა და 1929-30 წლის საკრედიტო გეგმის აღსრულებისათვის სახსართა მობილიზაციის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის თებერვლის 5-ის დადგენილების ზოგიერთი ნაწილის მოქმედების შეჩერების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ.

1. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს შეაჩერონ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებში სახსარის მოხვეპა მოსახლეობის სავალდებულო ანაბარების სახით, როგორც კოლექტიური მეურნეობებისა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების წევრებთაგან ისე იმ მოქალაქეთაგან, რომელნიც ამ ორგანიზაციების წევრნი არ არიან.

2. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკს არ განსაზღვროს სავალდებულო ანაბარების წესით სახსართა შეკრეფის საკონტროლო ციფრები.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. მარტის 12.
ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 230 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

68. კოლექტიურ მეურნეობებში შესვლის დროს სესხით დავალიანების დაფარვის პირობებისა და შეღავათების შესახებ.

„კოლექტიურ მეურნეობებში შესვლის დროს სესხით დავალიანების დაფარვის წესის შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის თებერვლის 4-ის დადგენილების („იზვესტია“-ს 35-№-ი, 1930 წ. თებერვლის 5-სა) საფუძველზე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ამა დადგენილების გამოცემამდე კოლექტიურ მეურნეობებში შესულ ღარიბ და საშუალო საგლეხო მეურნეობათა მთელი ვადაგადაცილებული დავალიანება ყველა იმ გადასახდელის სფეროში, რაც მაოგან სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოო ამხანაგობათ ერგებათ, გადაირიცხება კოლექტიურ მეურნეობებზე, რომელთაც ამ დავალიანების დაფარვის ვადა გადაედებათ მიმდინარე წლის მოსავლის პროდუქციის რეალიზაციამდე.

2. იმავე სახის ვადაგადაცილებული დავალიანება იმ მეურნეობებისა, რომელნიც კოლექტიურ მეურნეობაში შედიან, დაიფარება აღნიშნული მეურნეობების მიერ კოლექტიურ მეურნეობაში შესვლის გაფორმებამდე თავიანთი ხელთქონებული სახსრით, შემოსავლით და იმ ქონებით, რაც, კოლექტიური მეურნეობის წესდების მიხედვით, განსაზოგადოებულ არ უნდა იქნეს.

აღნიშნულ მეურნეობებს, რომელნიც თავის დავალიანებას ნებაყოფლობით არ დაფარავენ, შეეფარდებათ ამა დადგენილების მე-4 მუხლით გათვალისწინებული წესი და გადახდევინება მიიქცევა ზემოაღნიშნულ ქონებაზე, რაც განსაზოგადებულ არ უნდა იქნეს.

კოლექტიურ მეურნეობაში შემავალ მეურნეობათა ვადაგადაცილებული დავალიანება, რაც დაუფარავი დარჩება იმის გამო, რომ ხელთქონებული სახსარი, შემოსავალი და არაგანსაზოგადოებული ქონება საკმარისი არ აღმოჩნდა, გადაირიცხება კოლექტიურ მეურნეობაზე და დაიფარება მის მიერ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული—1930 წლის თებერვლის 4-ის—დადგენილების მე-3 მუხლის წესისამებრ, იმ ვადაზე, რაც დადგენილ იქნება სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოო ამხანაგობების გამგეობათა შეთანხმებით კოლექტიურ მეურნეობების გამგეობებთან.

3. კოლექტიურ მეურნეობაში უკვე შესული ან ამჟამად შემავალი ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობის მთელი დავალიანება ყოველგვარი გადასახდელის სფეროში, რის ვადაც ჯერ კიდევ არ დამდგარა, გადაირიცხება კოლექტიურ მეურნეობაზე, რომელიც დაფარავს მას სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული—1930 წლის თებერვლის 4-ის—დადგენილების მე-4 მუხლის წესისამებრ.

4. იმ ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობას, რომელიც კოლექტიურ მეურნეობაში არ შესულა, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოო ამხანაგობებისადმი თავისი ვადაგადაცილებული დავალიანების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაფარვის მხრით შეეფარდება გადასახადთა გადახდევინების დებულებაში (სსრ კავშირის კან. კრ. 1925 წ. 70 №-ი, მუხ. 518; 1928 წ. მე-2 №-ი, მუხ. 10; 1929 წ. 1-ლ №-ი, მუხ. 1, 17 №-ი, მუხ. 141; 1930 წ. 7 №-ი, მუხ. 78) აღნიშნული იძულებითი გადახდევინების წესი.

5. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ამიერკავკასიის კოლექტიურ მეურნეობათა საბჭოსთან და სრულიად საკავშირო კოოპერატიულ-კოლმეურნეობათა ბანკის ამიერკავკასიის კონტორასთან ერთად, სამი დღის ვადაზე, გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის და გაითვალისწინოს, კერძოდ, კოლექტიურ მეურნეობათა და მათში შემავალ ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობათა შორის ურთიერთი ანგარიშგასწორების წესი და აგრეთვე კოლექტიურ მეურნეობათა მიერ სპეციალური ფონდის შექმნა, რათა ამით დახმარება გაეწიოს ღარიბ და საშუალო მეურნეობათ იმ დავალიანების გადახდის საქმეში, რაც კოლექტიურ მეურნეობებისათვის გადაცემული ქონებით დაფარულ ვერ იქნა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. მარტის 14.
ტფილისი—სასახლე.

საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა
მთავლ. № 1019. ტირაჟი 850.